პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 237 (13053) | პარასკევი, 9 ოქტომბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

უპატაკეგენ სამშობლოს

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბელსაშვილი „კომუნისტის“ რედაქციას აცნობებენს, რომ კოლმეურნეობებმა და სბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ჩაბმული არიან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, 5 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმა. მოხნულია 8.688 ჰექტარი ნაცვლად 8.600 ჰექტარისა.

მზრალად ხვნა განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს ზნაურის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და სბჭოთა მეურნეობებში.

ლენინ ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში, — გვაცნობეს სიღნაღის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ბერლაშვილმა და სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. ბრნაშვილმა, — კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს პირუტყვის საკვების დამზადების გეგმა. ჩადებულია 115.000 ტონა სილოსი ნაცვლად 110.000 ტონისა, დამზადებულია 16.000 ტონა თივა, გეგმა კი 12.500 ტონას ითვალისწინებდა.

პირუტყვის საკვების დამზადება გრძელდება.

საოქტომბრო ვახტაზე

მეტი რძე სამშობლოს!

— მეტი რძე სამშობლოს! — ამ ლოზუნგით შრომობენ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში დიმომის მებოსტნეობა-მერძეველობის სბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები. პირველობას ერთმანეთს ეცილებიან ფერმის მუშაკები ლ. ჯანჯღავა და მ. ჩოხელი.

სამეურნეო წელი რომ იწყებოდა, ლ. ჯანჯღავამ იკისრა მოსაველელად მიჩენილი 18 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე 2 ათასი კილოგრამი რძე მიეღო. კარგი მოვლისა და კვების შედეგად უკვე მიიღო 2.100 კილოგრამი, ხოლო მ. ჩოხელმა — ორი ათასი.

მოწინავე მეცხოველეები მ. ჩოხელი და ლ. ჯანჯღავა მიღწეულს როდი სჯერდებიან. ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ წლის ბოლომდე საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღონ ორი ათასი ხუთასი კილოგრამი, ამასთან წარმოებული რძის თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით 18 პროცენტით შეამცირონ.

მევაგონეთა ფვლილი

ხაშურის სავაგონო დეპოს კოლექტივმა წლის დამდეგიდან 15 სექტემბრისათვის შეკეთებიდან გამოუშვა 1.742 ვაგონი, რაც გეგმას 25 ვაგონით აღემატება. ამჟამად მევაგონეები იბრძვიან იმისათვის, რომ დღესასწაულისათვის გეგმის გადამეტებით შეკეთებიდან გამოუშვან კიდევ 5 ვაგონი.

დ. ფარეშეშვილი.

ბრიგადა კისრულობს

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის შახტებში რამდენიმე კომუნისტური შრომის ბრიგადა მუშაობს. კარგა ხანია ჩემმა ბრიგადამაც დიმსახურა ეს მაღალი სახელი და ჩაება წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში. მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 600 ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

ბ. ჩიხლაძე,
ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები—მაღალ დონეზე!

ამჟამად რესპუბლიკის პირველადი პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საანგარიშო - საარჩევნო კრებები. ათასობით კომუნისტი გულღიად და პრინციპულად განიხილავს მთელ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას. ისინი განაზოგადებენ შეძენილ გამოცდილებას, ამხილებენ და აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, სახავენ მათი აღმოფხვრის კონკრეტულ გზებს, განსაზღვრავენ მომავალი მოღვაწეობის პრაქტიკულ ამოცანებს.

ეს ერთი წელი, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების მთელი საანგარიშო პერიოდი, აღსავსე იყო მნიშვნელოვანი ამბებითა და მოვლენებით. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს ბრძოლის იმ კონკრეტულ პროგრამას, რომელიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა. ამიტომ ბუნებრივია, რომ პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დიდი ქმნილის დაჩქარებული განვითარებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხებს, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ სკკპ XXII ყრილობიდან, პარტიის პროგრამიდან.

პარტიულ ორგანიზაციებში გამართული კრებები ნათლად მოწმობენ იმას, თუ როგორ გაიზარდა კომუნისტთა მომთხოვნელობა თავიანთი პარტიბიუროს, კომიტეტების, მდივნების საქმიანობისადმი, პარტიის თვითეული წევრისადმი, სამეურნეო ხელმძღვანელობის დონისადმი. მათს მაღალ აქტივობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ანგარიშგება-არჩევნების დაწყებიდან ორი კვირის მანძილზე რესპუბლიკის 9.316 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან 3.108 ორგანიზაციაში გამართულ კრებებს დაესწრო კომუნისტთა 90 პროცენტი, ხოლო კამათში მონაწილეობა მიიღო კრებებზე დამსწრეთა თითქმის ერთმა მეოთხედმა.

ორგანიზებულად, მაღალ დონეზე წარიმართა ანგარიშგება და არჩევნები თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს, მცხეთის საწარმოო სამმართველოს მუხრანის კოლმეურნეობის და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციებში. აქ კომუნისტებმა კრიტიკულად შეაფასეს მდგომარეობა, გამოააშკარავეს ნაკლოვანებანი და შეიმუშავეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფისაკენ, კომუნისტთა აქტივობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისაკენ.

პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე როგორც ქალაქად, ისე სოფლად, წელს განსაკუთრებული სკკპ-ბაასი იმართება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებზე.

ეს გასაგებიც არის. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ადამიანთა მისწრაფება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ღრმად შესწავლისადმი. ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში უკვე რამდენიმე დღეა მუშაობას შეუდგა პოლიტიკური განათლების ფაქტორი ქსელი. ამ დღეებში სოფლად დაიწყება ახალი სასწავლო წელი. ამიტომ თვითეული პარტიული ორგანიზაციისთვის ამ საკითხების გულმოდგინედ, ღრმად განხილვას, პოლიტიკური სწავლების დონის შემდგომი ამაღლებისათვის სწორად შემუშავებულ ღონისძიებებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ცხადია, ბევრგან კრებების წარმატება, კომუნისტთა აქტივობა, უმნიშვნელოვანეს საკითხთა სწორი განხილვა, ჭანსაღი კრიტიკა და თვითკრიტიკა განაპირობა იმან, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებს წინ უძღვის მოსამზადებელი მუშაობა, რომ კრებების მომზადებაში მონაწილეობს აქტივი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები გრძნობენ პარტიული კომიტეტების ყოველმხრივ ხელმძღვანელობასა და დახმარებას. მაგრამ ყველგან ასე რიდია. იქ, სადაც ეს ჰეშმარიტება ფაქიზულად, კრებების მუშაობაც უფრულად, დაბალ დონეზე წარიმართა.

კომუნისტთა რა აქტივობაზე შეიძლება ლაპარაკი ტრესტ „ქიათურმარგანეცის“, ლენინგორის საწარმოო სამმართველოს სოფელ ღრმის კოლმეურნეობის, სამტრედიის რკინიგზის განყოფილებისა და, სამწუხაროდ, ზოგიერთ სხვა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, როცა მათ კომუნისტთა მხოლოდ 60-70 პროცენტი ესწრებოდა. თბილისის № 20 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორაში კი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება მთლიანად ჩაიშალა კომუნისტთა გამოუცხადებლობის გამო. ეს ფაქტები აშკარა უპასუხისმგებლობის შედეგია, რასაც პარტიული კომიტეტები სეროიზულად უნდა ჩაუფიქრდნენ.

როგორც ცნობილია, საანგარიშო მოხსენება ტონის მიმცემია, მასზე დიდად არის დამოკიდებული კრების მონაწილეთა აქტივობა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა. საანგარიშო მოხსენების მომზადებაში აქტიურად უნდა ჩავაბათ პარტიული ბიუროსა და კომიტეტების წევრები, კომუნისტები, იგი კრებამდე რამდენიმე დღით ადრე უნდა დაამტკიცოს პარტიულმა ბიურომ და კომიტეტმა.

მაგრამ ეს ყველგან როდი გაითვალისწინეს. ბათუმის მეთევზეობის კოლმეურნეობის, ზესტაფონის ხელის წყლების ქარხნის, ახალციხის ხორცკომბინატის, სამგორის მევენახეობის სბჭოთა მეურნეობის და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო მოხსენებანი ნაჩქარევად შეადგინეს. მათში არადამაჯაყოფილებლად იყო გაშუქებული პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის, კომუნისტთა მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების აქტუალური საკითხები.

ან კი რა უნდა ეთქვათ რუსთავის სარემონტო-მექანიკური ქარხნისა და ზესტაფონის ნავთობბაზის პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, როცა ისინი 1,6-2 გვერდზე დაწერილი „საანგარიშო მოხსენებებით“ წარსდგნენ კრების წინაშე. იყო ისეთი ფაქტიც, როცა საანგარიშო მოხსენება კრებას ისე წარუდგინეს, რომ პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომაზეც არ იყო დამტკიცებული.

ზოგიერთ კრებაზე სათანადო ყურადღება არ ეთმობა წარმოების საჭიროროტო საკითხებს, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების გადაჭრით გაუმჯობესებას. ამიტომ დადგენილებანიც აქ ზოგადი ხასიათისა მიიღეს. ასეთი ფაქტი კი პირდაპირ შეუფერებელია. კიდევ უფრო მეტი. ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს სოფელ ლაბრის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დადგენილება სულაც არ მიუღიათ (!).

ანგარიშგება-არჩევნების მსვლელობაში პრაქტიკულად ხორციელდება სბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების მოთხოვნა ბიუროს, პარტკომის შემადგენლობის სისტემატიური განახლების შესახებ. ამ ჭეშმარიტებას ზოგან კვლავ ივიწყებენ. გუჯაანის რკინიგზის სადგურის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ძველი შემადგენლობა ნელსაც მთლიანად უცვლელად აირჩიეს. სკკპ წესდების დარღვევებსა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დამახინჯებებს ადგილი ჰქონდა ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში. ამ ფაქტებმა უნდა ჩაიფიქროს როგორც ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი, ისე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, მისი პარტიული ორგანოების განყოფილება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ამ დღეებში განხილა რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობის საკითხი და მიუთითა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დამახინჯებებზე, რასაც ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციებში ჰქონდა ადგილი. მან მკაცრად გააკიცხა ზოგიერთ ადგილებში ფორმალური ხასიათის ფაქტები, ფორმალური, საქალაქო, რაიონული, სამრეწველო-საწარმოო ზონებისა და საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტები, რომ დროულად გამოასწორონ დაშვებული შეცდომები, მტკიცედ დაიცვან პარტიის წესდება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევის შესახებ.

თვითეული პარტიული კომიტეტი მოვალეა ყოველდღიურად იყოს საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობის კურსში, აამაღლოს იმ მუშაკთა პასუხისმგებლობა, რომლებიც კრებებს ეხმრნებიან, როგორც პარტიული კომიტეტების წარმომადგენლები. მივაღწიოთ იმას, რომ ყველგან საანგარიშო-საარჩევნო კრებები წარიმართოს ორგანიზებულად, მაღალ დონეზე, რომ ამ კრებებმა ხელი შეუწყოს კომუნისტთა ინიციატივისა და შემოქმედების შემდგომ განვითარებას, სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მოპოვებას.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან იზრუნონ იმისათვის, რომ თვითეულ კრებაზე შექმნან კოლექტიური შეთანხმებითი მუშაობის ატმოსფერო, რაც ხელს შეუწყობს აზრთა თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას, პრაქტიული მოღვაწეობის ყველა მომწიფებული საკითხის საქმიან განხილვას.

და თუ თვითეულ პარტიულ კრებაზე შევძლებთ ყურადღებით, მოფიქრებით, საქმიანი წესით შევიკრიბოთ, შევამზადოთ, გადავამუშაოთ სწორად პრაქტიკული გამოცდილება, როგორც ამას ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, მაშინ შეუძლია თვითეულ პარტორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს დროულად ნამოვნოს თავისი ნამდვილი ადგილი იმ საპატიო პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში, თუ „როგორ უველაზე უფრო სწრაფად, ყველაზე უფრო სწორად“ ავაშენოთ კომუნიზმი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ ნ. პ. ბაჟანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ნიკოლოზ პლატონის-ძე ბაჟანი დაჯილდოდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 8 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. პ. ბაჟანისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების უკრაინულ ენაზე თარგმნისა და მათი პოპულარიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით უკრაინელ მწერალს ნიკოლოზ პლატონის-ძე ბაჟანს მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოჩენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვეპაძე

ქ. თბილისი. 1964 წლის 8 ოქტომბერი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

სახელოვანი სამოცი წელი



გუშინ სოხუმში, სადაც ამჟამად იმყოფებიან უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილენი, „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია პოეტ-აკადემიკოს მიკოლა ბაჟანს და გაზეთის მკითხველებისა და რედაქციის კოლექტივის სახელით მიულოცა დაბადების სახელოვანი 60 წლისთავი.

კორესპონდენტმა იუბილარს მიულოცა აგრეთვე მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭება. იუბილარმა განაცხადა:

◇

ამდენ სიხარულს, ჩემი შრომის ასეთ მაღალ შეფასებას, ერთი კი არა, ათი გულიც ვერ დაიტევს. მე მზად ვარ მთელი ჩემი ენერგიით, სანამ მელანი არ გამთეთრებია, და ასეთი სასწაულიც რომ მოხდეს, მზად ვარ საკუთარი სისხლით ვწერო ჩვენი დიადი ეპოქის მხატვრული მატიანე, ვწერო ჩვენს გმირულ თანამედროვეობაზე, მზად ვარ ძალა და ენერგია არ დავიშურო უკრაინული და ქართული კულტურის ძმური კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

დარწმუნებული უნდა იყოთ ეს დეკადა ახალ სტიმულს მომცემს, რომ უფრო ლამაზი სიმღერა ვთქვა უკრაინელი და ქართველი ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ლენინურ მეგობრობაზე. ბედნიერი, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ მომმე ქართველი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობ.



სტუმრად საბჭოთა მეზობლებთან

◇ ვიენა, 8 ოქტომბერი. (საადგილის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 15 წლისთავთან დაკავშირებით, დღეს სტუმრად იყვნენ გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის მეომრებთან. დელეგაციის მეთაური — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩის პ. ა. აბრასიმოვისა და გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდლის არმიის გენერალ ი. ი. იაკუბოვსკის თანხლებით იყო ერთ-ერთ არმიის ნაწილში. ჯარისკაცები და ოფიცრები გულითადად მიესალმნენ სტუმრებს.

მეომართა წინაშე გამოვიდა ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც სალამი გადასცა პირად შემადგენლობას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა წარმატებით ახორციელებენ საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობას, აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის როლი მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა მეომრებს უსურვა ახალი წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

არმიის გენერალმა ი. ი. იაკუბოვსკიმ თავის გამოსვლაში თქვა, რომ ჯარების ჯგუფის პირადი შემადგენლობა მუდამ გრძნობს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზამბრივ ზრუნვას და კვლავ დაუცხრომლად სრულყოფს თავის საბრძოლო ოსტატობას. ი. ი. იაკუბოვსკიმ სოხოვა ლ. ი. ბრეჟნევს გადასცეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ საბჭოთა მეომრები ფხიზლად დგანან სოციალისტური თანამეგობრობის დასავლეთის საზღვრებზე.

ზრდიან წარმადობას

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატის კოლექტივი საოქტომბრო შრომითს ვახტზე დგას და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევს.

პირველი და მეორე ქაღალდსაკეთებელი მანქანების მოდერნიზაციის დამთავრების შემდეგ ამ მანქანებზე საგრძნობლად შემცირდა ბოჭკოს დანაკარგები, ორთქლისა და ელექტროენერგიის ხარჯვა, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

ახლახან კომბინატში დაამთავრეს ფართო მოხმარების პროდუქციის საამქროს რეკონსტრუქცია. ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებამ გამოიწვია საამქროს წარმადობის ზრდა 10-15 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 4-7 პროცენტით.

ენგურელ მექანიკოსებს გადაწყვეტილი აქვთ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში პროდუქციის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით შეამცირონ სულ ცოტა 5 პროცენტით.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება გაუგზავნეს ყაზახეთის კომპარტიის ყარაგანდის სასოფლო საოლქო კომიტეტს და საოლქო აღმასკომს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ყარაგანდის ოლქის ყველა მშრომელს იმასთან დაკავშირებით, რომ წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარების სოციალისტური ვალდებულებანი.

მისალმებაში ნათქვამია, რომ ყარაგანდის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 43 მილიონ 500 ათასი ფუთი მარცვალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 მილიონ 900 ათასი ფუთისა. უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურის — ხორბლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით. სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს ცელინოგრადის ოლქის ცელინოგრადის საწარმოო სამართველოს მეხვნელ-მთესველებს, ყველა მშრომელს შრომითი გამარჯვება—სახელმწიფოსთვის პურის ჩაბარების სოციალისტური ვალდებულების შესრულება. სამმართველოს მეურნეობებმა სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 30 მილიონ ფუთზე მეტი მარცვალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21 მილიონ 900 ათასი ფუთისა. ხორბლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. სამმართველოს საბჭოთა მეურნეობები ვარაუდობენ კიდევ სულ ცოტა ორი მილიონი ფუთი მარცვალი მისცენ სახელმწიფოს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თთხრეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ყველა მშრომელს მიულოცეს შრომითი გამარჯვება — სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფო ბეღლებში შეინახეს 56 მილიონ 145 ათასი ფუთი მარცვალი. (საკდესი).

ახალი პრეგული

გამოვიდა მეორე გამოცემა კრებულისა „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“. დოკუმენტები და მასალები“. კრებულში დამატებით შევიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის 15 ივნისის წერილი ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ გამოშვებული კრებული დიდმნიშვნელოვანი სახელმძღვანელო იქნება პოლიტიკური განათლების სისტემის სემინარების, წრეების ხელმძღვანელებისათვის. (საკდესი).

ჩვენს ქალაქში
სპორტული

დაე ფრიალებდნენ სპორტული მეგობრობის დროშები!

XVIII მსოფლიო ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებს, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს

საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით გულითადად მივესალმები ყველა კონტინენტის სპორტის წარმომადგენლებს საერთაშორისო სპორტული ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენის — ტოკიოს XVIII ოლიმპიური ასპარეზობის დღეებში.

ჩვენს დროს სპორტი დედამიწის ასობით მილიონი ადამიანის საარსებო მოთხოვნილებად გადაიქცა. მაგრამ მხოლოდ მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პირობებში შეიძლება განვითარდეს სპორტი, აღიზარდოს ჯანსაღი, ძლიერი და ხალისიანი ახალგაზრდების თაობა. ბუნებრივია, რომ ყველა ქვეყნის სპორტსმენები სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი თავიდან აიცილონ ახალი მსოფლიო ომი. მათ შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ აქტიურ ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის. ოლიმპიური ასპარეზობანი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ საშუალებას აძლევენ სხვადასხვა რასის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის ადამიანებს ერთმანეთს შეხვდნენ სპორტული მეგობრობის დროშით.

ოლიმპიური ასპარეზობა, რომელიც პირველად ეწყობა აზიაში, უეჭველია, დიდ როლს შეასრულებს სპორტის განვითარებაში, ყველა კონტინენტის სპორტსმენთა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

დარწმუნებული ვარ, რომ ახლანდელი ოლიმპიადა განუწყვეტლივ მზარდი სპორტული ოსტატობის ახალი დადასტურება იქნება და ხელს შეუწყობს ყველა ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

ნ. ხრუშჩოვი.

უგანდის ხალხს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა უგანდის პრეზიდენტს ედვარდ ფრედერიკ მუტესეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავს და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს უგანდის დამოუკიდებლობის მეორე წლისთავთან დაკავშირებით. იგი გამოთქვამს წრფენას, რომ კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება მეგობრული ურთიერთობა სსრ კავშირსა და უგანდას შორის.

მეგობარ უგანდელ ხალხს დიდი წარმატებანი უსურვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელმაც დეპეშა გაუგზავნა უგანდის პრემიერ-მინისტრს აპოლო მილტონ ობოტეს. ნ. ს. ხრუშჩოვი დეპეშაში დიდ წარმატებებს უსურვებს მეგობარ უგანდელ ხალხს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, სახელმწიფო, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში.

მხურვალედ მოიწონეს

ტოკიო, 8 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის მონაწილეთა მხურვალე მოწონება გამოიწვია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის წერილმა XVIII მსოფლიო ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებისადმი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისადმი.

დღეს საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა ი. დ. მაშინმა ეს წერილი წაიკითხა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე და მისი ტექსტი გადასცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ე. ბრენდეჯს. 15 საათსა და 5 წუთზე ე. ბრენდეჯს. 15 საათსა და 5 წუთზე წერილის ტექსტი გადასცა იაპონიის რადიომ და ტელევიზიამ.

ირანის პარლამენტში

თეირანი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ზაფხულის არდადეგების შემდეგ კვლავ მუშაობას შეუდგა ირანის პარლამენტი. ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ირანის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ. იგი შეეხო ირანის საშინაო და საგარეო მდგომარეობას. შაჰმა აღნიშნა, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა მიაღწიოს ურთიერთგაგებას მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

უგანდის ეროვნული დღესასწაული

კამპალა, 8 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. კაშირავი იტყობინება: ეროვნული კრების შენობის წინ კამპალის მთავარ ქუჩაზე გამოკიდებულია უგანდისა და მისი მეგობარი მსოფლიოს ქვეყნების ეროვნული ალმები. ალმების ფერად გირლანდებს მორის ფრიალებს საბჭოთა კავშირის — აფრიკის ხალხთა დიდი და გულწრფელი მეგობრის სახელმწიფო ალმის ალისფერი ქსოვილი. 9 ოქტომბერს უგანდა, რომელიც ტროპიკული აფრიკის „გულში“ მდებარეობს, აღნიშნავს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე წლისთავს. უგანდის მთავრობამ და მმართველმა პარტიამ, სახალხო კონგრესმა გადაწყვიტეს ამ მოვლენის აღსანიშნავად ფართოდ შეუტიონ უწიგნურობასა და ჩამორჩენილობას. 9 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრი მილტონ ობოტე საზეიმოვითარებაში გახსნის საერთო ეროვნულ კაჭანიას უგანდის მოზრდილი მოსახლეობის უწიგნურობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

უგანდის ხალხი აჯამებს ორი წლის დამოუკიდებელი განვითარების შედეგებს.

საპროტესტო დეპეშა

კაირო, 8 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც მენის საგაზეთო იუწყება, მოუმზრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება კონგოს პრეზიდენტ კასავუბუს გაუგზავნონ საპროტესტო დეპეშა იმასთან დაკავშირებით, რომ კონგოს ჯარებმა ალყა შემოარტყეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ალჟირის საელჩოს კონგოში.

საპროტესტო დეპეშას ხელი მოაწერეს აფრიკის ყველა სახელმწიფოს მეთაურებმა.

დეპეშაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გადაწყვეტილება მონაწილეობა არ მიიღებინონ მ. ჩომბეს კონფერენციის მუშაობაში, აფრიკის სახელმწიფოთა მეთაურებმა ერთხმად მიიღეს და ეს არ არის მარტო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნასერის გადაწყვეტილება.

ჩომბე თავის რეპერტ

მსჯელობა გამოუყენებელ რეზერვებზე

ვარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

კომუნისტმა მაღალი აქტივობით ჩაიარა ზნაურის საწარმოო სამმართველოს სოფელ კეხვის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ.

მომხსენებელმა — პარტიბიუროს მდივანმა ზ. ხეთაგურმა და კამათის მონაწილეებმა ფართოდ განიხილეს ბიუროს, პარტიული კომკავშრომლებთან მუშაობაში.

იგრძნო რა პარტიული ბიუროსა და კოლმეურნეობის გამგეობის უყურადღებობა, ყოფილი ბრიგადირი ვლ. კოტაევი დაუკავშირდა უპატიოსნო ადამიანებს და ხელი მიჰყო საკოლმეურნეო ქონების მითვისებას. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის წევრებმა, ქურდების ჯგუფს, რომელსაც კოტაევი ხელმძღვანელობდა, 172 კილოგრამი მოპარული ლობიო აღმოუჩინეს. იგი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ პარტიულმა ორგანიზაციამ და მისმა ბიურომ დაუშვებელი ლმობიერება გამოიჩინეს მისი პერსონალური საკითხისადმი, საჭიროდ არ ჩათვალეს დამნაშავისათვის პარტიული წესით ეგებინებინათ პასუხი. შემდეგ კოტაევი უფრო შორს წავიდა, დანაშაულს დანაშაული დაუმატა — კოლმეურნეობიდან გაიქცა და ხუთ თვეს არ გადაუხდია პარტიის საწევრო შესატანი. პარტიიდან გარიცხვის მაგიერ პარტბიურომ კოტაევს საუკეთესო გამოუცხადა და პარტიულ კრებაზე შეიტანა წინადადება დაემტკიცებინა ეს გადაწყვეტილება. კრებამაც დაადასტურა ბიუროს დადგენილება.

ამ დამნაშავის მიმართ უაღრესად ლმობიერ მიდგომაზე საკმაოდ ილაპარაკეს ორატორებმა.

მოკამათეებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიურო იმისათვის, რომ მან სათანადო ზომები არ მიიღო იმ კომუნისტების მიმართ, რომლებიც არათუ შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს არ ასრულებენ, არამედ სრულიადაც არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. კომუნისტ შ. მაისურაძეს წელს არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია, მ. ზანგალაძეს გამომუშავებული აქვს 16 შრომადღე და სხვ.

მომხსენებელი ზ. ხეთაგური, სიტყვებით გამოსული ნ. ბაბუციძე (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ნ. კახნიაშვილი (აგრონომი), გ. ბაბუციძე (ბრიგადირი), მ. ბუგიანიშვილი (ფერმის გამგე, ზოოტექნიკოსი), ვ. კახნიაშვილი (ბრიგადირი) და სხვები დაწვრილებით შეჩერდნენ საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საკითხებზე.

მათ აღნიშნეს, რომ ბრიგადებში, სადაც სათანადო დონეზეა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, ინტენსიურად უძღვებიან მეურნეობას, წარმოებაში ნერგავენ უოველივე პროგრესულს, ყურადღება ექცევა მშრომელთა ადამზრდელობითს მუშაობას, შედეგიც კარგია. კომუნისტების ვ. გოჩაშვილისა და შ. ჭულუხაძის ბრიგადებმა წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს.

კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს ბრიგადირი ა. კახნიაშვილი, რომელმაც აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი არ განახორციელა და ამ მიზეზით საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ სამი ცენტნერი ხორბალი მოიყვანა. ასევე დაბალი მოსავალი მიიღეს კომუნისტების გ. და მ. ბაბუციძეების ბრიგადებმაც.

კოლმეურნეობაში წელს სიმინდის დასალი მოსავალია (გარდა კეხვის უბნისა), და ეს იმიტომ, რომ ნათესებს მოვლა-პატრონობა აკლდა.

არასახარბიელო მდგომარეობაა მეცხოველეობის განვითარების საქმეშიც. კომუნისტებმა ფერმის გამგეს ზოოტექნიკოს მ. ბუგიანიშვილს, როცა ის ამბობდა, ფურების თითქმის 40 პროცენტი გაბერწდაო, მოსთხოვეს აეხსნა ამის მიზეზი, მაგრამ მან გვერდი აუარა პირდაპირი პასუხის გაცემას და სიჩუმე ამჯობინა. სწორედ პირუტყვის ცუდი მოვლა-პატრონობის, ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა გაუტარებლობით უნდა აიხსნას პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობა. მიმდინარე წლის რვა თვეში საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 371 კილოგრამი რძე, ეს იმ დროს, როცა ცოტა ხნის წინათ კეხვისა და აჩაბეთის ყოფილი კოლმეურნეობები საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.500-2.000 კილოგრამ რძეს იღებდნენ. დაბალია ხორცის წარმოებაც. 1.030 ხულის მაგიერ, რასაც გეგმა ითვალისწინებს, არტელს 906 ხული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს, მათ შორის 300-ის ნაცვლად 240 ძროხა. შესრულებული არ არის აგრეთვე ღორის ხულადობის გეგმა.

მეცხოველეობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი მტკიცე საკვები ბაზის უქონლობაა, არც ერთ წელს აქ საკუთარი წარმოების საკვებით არ გამოუზამთრებია პირუტყვი. მიმდინარე წელსაც დიდი რაოდენობით აკლიათ საკვები, ცუდად არის სილოსის ჩადების საქმეც.

პარტიულ ბიუროსა და კოლმეურნეობის გამგეობას სერიოზული მუშაობა დასჭირდებათ მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა პარტბიუროს მუშაობა და დასახა შემდგომი მუშაობის ღონისძიებანი.

კრებამ აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და ზნაურის საწარმოო სამმართველოს პარტორგანიზაციის III კონფერენციის დელეგატები.

შ. ბასიშვილი.

ზნაურის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი.

მდორე დინება

ამ რამდენიმე ხნის წინათ კასპის ავტოსატრანსპორტო კანტორის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრებას ვესწრებოდი. კომუნისტებთან ერთად გულდასმით ვისმენდი პარტბიუროს საანგარიშო მოხსენებას, რომელიც ათგვერდიანი იყო. მის წაკითხვას პარტბიუროს მდივანმა ბ. ნადირაშვილმა ოცი წუთი მოანდომა.

ლაპარაკობდა მომხსენებელი და ასე მეგონა, რომ ანგარიში უკვე მოსმენილი მქონდა, ისე ძლიერად აჩნდა მას ძველი შტამპის კვალი. მოხსენებაში იყო მაგალითები პარტიული ორგანიზაციის, წარმოების მუშაობის, კოლექტივის ცხოვრების ავკარგზე, მაგრამ ანალიზი აკლდა, ფაქტების უბრალო ჩამოთვლას ელფერი დაუკარგა. ამ მნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტში კომუნისტებმა თავიანთი თავი ვერ დაინახეს. მათ საქმიანობაზე მხოლოდ აქა-იქ იყო მკრთალად ნათქვამი.

როცა მომხსენებელმა კანტორის მუშაობის რვა თვის მონაცემების დასახელება დაამთავრა, ასე დაასკვნა: „როგორც ჩანს, კანტორის კოლექტივმა პირველი კვარტალის ჩამორჩენა ორ სახეში უკვე გამოასწორა და ამჟამად იბრძვის დარჩენილი შეუსრულებელი სახეების გამოსასწორებლად. ამ თვის ბოლოს ჩამორჩენა ტონა-კილომეტრებშიც გადაიფარება“.

მაგრამ რა უნდა გაკეთდეს ჩამორჩენის დასაძლევად? რა ახალი ამოცანები დგას პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების წინაშე? ამაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა.

მოწინავეთაგან მომხსენებელმა ოთხი კომუნისტის გვარი დაასახელა, ჩამორჩენილთაგან — სამისა. ამიტომ ბუნებრივი იყო რეპლიკები:

— მარტო გვარების დასახელება საქმეს არ შველის.

— კანტორა ტვირთბრუნვის გეგმას რომ ვერ ასრულებს, ეს თვითეული ჩვენგანის ბრალი არ არის?

— საჭირო იყო დაწვრილებით გველაპარაკა, რით ვაღწევთ წარმატებებს და იმ ნაკლოვანებებზე გაგვიმახვილებინა ყურადღება, რომლებიც ჩამორჩენას იწვევენ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოხსენების ცალკეულ ქვეთავებში თუმცა ზერელეა, მაგრამ მაინც ლაპარაკი იყო შინაპარტიულ, იდეოლოგიური მუშაობის, კომკავშრომული, პროფკავშრომული და თავისუფალი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, მაგრამ ანგარიში მეორედ მიედინებოდა მაშინაც კი, როცა კრიტიკა იყო. ეი ადგილები მოხსენებიდან:

„ავტოკოლონის მუშაობის შესახებ. როგორც ვიცით, ჩვენ გვაქვს ერთი ავტოკოლონა თეძამის ტუფში (უფროსი ამხ. ვასილ ქერეფაშვილი). კოლონაში ავტოტრანსპორტი და მათი მძღოლები უაღრესად ცუდ პირობებში მუშაობენ, არ გააჩნიათ ავტომანქანებისათვის მოწესრიგებული სადგომი, არ აქვთ შემკეთებელთათვის რამე გადახურული ადგილი. საჭიროა ადმინისტრაციამ მიიღოს ყველა ზომები თეძამის ტუფის კოლონაში მუშაობის პირობების გასუფთავებისაკენ“.

„კომკავშრის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ავტოსატრანსპორტო კანტორის ალკა ორგანიზაციაში გაერთიანებულია 54 კომკავშრელი. თვითკრიტიკით მინდა აღვნიშნო, რომ პარტიული ბიურო ნაკლებ დახმარებას უწევდა მის მუშაობას. არა აქვს მისი მუშაობის საკითხი პარტიულ ბიუროზე განხილული, რაც შეეხება პარტიულ ბიუროს კომკავშრის წევრი — სეგ ამხანაგი მომზადებული და მიღებული ჰყავს სკკპ წევრობის კანდიდატად. ახლად არჩეულმა ბიურომ დაუდგინა ... ეს უნდა დაუთმოს ... ორგანიზაციასთან მუშაობას“. „ეგზეთ მათ გვერდში და უწევდეს დახმარებას ყველა საჭირო საკითხებში“.

კომუნისტმა მექანიკოსმა დ. ნონიაშვილმა თქვა:

— დღევანდელ საანგარიშო მოხსენებას, რომ იტყვიან, მარილი აკლდა. ამაში მეც ვარ დამნაშავე, როგორც ბიუროს წევრი. თვითონ პარტბიუროს მდივანი ნადირაშვილი კარგი ამხანაგია, მაგრამ ზოგჯერ ვერ იჩენს ხოლმე საჭირო პრინციპულობას, რაც ცუდად მოქმედებს საერთო საქმეზე.

სათადარიგო ნაწილები ნორმასთან შედარებით მეტი იხარჯება, რადგან მძღოლთა ერთი ნაწილი ცუდად უვლის ავტომანქანებს, უყაირათობას იჩენს.

კომუნისტებმა—შემკეთებელმა მუშამ შ. ტორიკაშვილმა, ავტომძღოლებმა გ. ბოლოთაშვილმა, ა. იაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს გარაჟის მშენებლობის გაჭიანურების ფაქტი, ილაპარაკეს სახელოსნოს მოუწყობლობაზე, მოითხოვეს სასმელი წყლის გამოყვანის დაჩქარება.

მართალია, მოკამათეებმა რამდენადმე მოახერხეს მოხსენების შევსება, მაგრამ პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის მთელ რიგ უბნებს კრებამ ვერ ალარა.

დასკვნა ერთია: კასპის ავტოსატრანსპორტო კანტორის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება გულდასმით არ მომზადდა, ამიტომ ბევრი მტკივნეული საკითხი განსახილველი დარჩათ. საჭიროა ახლადარჩეული ბიურო კომუნისტთა დახმარებით დროულად გაერკვეს ამ საკითხებშიც, ჩაწვდეს ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის სიღრმეს.

მ. ხეთაგური.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

უცხოეთის ამბები

ერჰარდის პრეტენზიები

ასე ამპარტავნობენ მარქსიზმ-ლენინიზმს

ბოგოტა, 7 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ვოს პროლეტარიამ“ გამოაქვეყნა კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ხოსე კარდონა ოიოსის სტატია, რომელიც მიეძღვნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა პოზიციასა და მოქმედებას. პეკინის ხელმძღვანელთა ახლანდელი პოლიტიკური ხაზი, ნათქვამია სტატიაში, ეყრდნობა იმას, რომ ჩინელმა ხალხმა თითქმის სრულიად არ იცის, თუ რას ნიშნავს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია და პრაქტიკა თანამედროვე მსოფლიოში. მოსახლეობის ფართო მასებს, წერს კარდონა ოიოსი, იმდენად რამდენადაც ეს შეეხება დოგმატიზმისა და ფაქტების დამახინჯების პოლიტიკას, რომელსაც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა ახორციელებს, უმალავენ მეტწილ მოვლენებს, რომლებიც ხდება როგორც თვით ჩინეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. პიროვნების კულტი, პირწყალგნილი შოვინიზმი, ბრძოლა პარტიების ერთობის წინააღმდეგ, იმ უდიდესი შეცდომების მიზეზების დაფარვა, რომლებიც ეკონომიკაში მოხდა.

კ. მარქსის თხზულებათა სრული კრებული, აღნიშნავს შემდეგ კარდონა ოიოსი, არ თარგმნილა არც ჩინურ ენაზე, არც რომელიმე სხვა ენაზე, რომელზეც ჩინეთში ლაპარაკობენ. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები იქ უმნიშვნელო ტირაჟით გამოიცა. ეს ნიშნავს, გამოაქვს დასკვნა სტატიის ავტორს, რომ მარქსიზმს ჩინეთში არ სწავლობენ პირველწყაროებით, როგორიცაა მისი დიდი ფუძემდებლების ნაწარმოებები.

მარქსიზმი, რომელსაც ჩინელ ხალხს აცნობენ, სინამდვილეში „შეჭამადია“, რომელიც ჩინეთის კომპარტიის თავმჯდომარემ დაამზადა. ეს ნიშნავს, რომ ხალხს აცნობენ იმას, რასაც მაო ძე-დუნის უახლოესი წრეები უწოდებენ „თავმჯდომარე მაოს ოქროს სიტყვებს“, ხაზგასმით აღნიშნავს კარდონა ოიოსი.

„შეცდომით“ დაგომგვა

პარიზი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, სეტტემბერში „სტალირეიდერის“ ტიპის ამერიკულმა თვითმფრინავებმა ტყვიამფრქვევები დაუშინეს და ბომბები დააყარეს მშვიდობიან სოფლის მცხოვრებლებს, რომლებიც შეშას აგროვებდნენ რამდენიმე კილომეტრზე საიგონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ათობით ადამიანი, რომელთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვები, დაიხოცა, ბევრი მშვიდობიანი მოსახლე დაიჭრა. ფრანს პრესის სააგენტოს საიგონის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ამერიკელმა მფრინავებმა „შეცდომით“ დაბომბეს მშვიდობიანი მოსახლეობა, ვინაიდან პარტიზანები ეგონათ ისინი.

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა. გაზეთი „უნიტა“ იუწყება პლენუმის დღის წესრიგს:

1. მუნიციპალური არჩევნები და კომუნისტთა ბრძოლა ახალი დემოკრატიული უმრავლესობისათვის (ამხ. ლუიჯი ლონგოს მოხსენება).
2. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრობლემები (ამხ. ენრიკო ბერლინგუერის მოხსენება).
3. სხვადასხვა.

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). მეორე მსოფლიო ომის დასასრულს შეერთებული შტატები ეგზადებოდნენ იაპონიის წინააღმდეგ ომშწამებელი ნივთიერებების გამოსაყენებლად. ამის შესახებ არის საუბარი, ამერიკის ატომური ენერგიის კომისიის ყოფილი თავმჯდომარის დ. ლილიენტალის წიგნში „დავთი ლილიენტალის მეშუარები: ატომური ენერგიის წლები — 1945-1950“. ეს გეგმა განხორციელებელი დარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისი შიშობდა ფაშისტურ გერმანიას საპასუხოდ არ გამოეყენებინა გაზი.

ლილიენტალი აღნიშნავს, რომ ეს მას აუწყა ჯ. მარშალმა, რომელიც ომის წლებში იყო ამერიკის არმიის შტაბის უფროსი.

მიუმხრობელი ქვეყნების ხმა

კაირო, 8 ოქტომბერი. (საკდესი). მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციაზე გუშინ გამოვიდა ალჟირის პრეზიდენტი ბენ ბელა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუმხრობლობის პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცებისა და იმისათვის, რომ გაძლიერდეს ბრძოლა ნეოკოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. „მიუმხრობლობის პოლიტიკა, — თქვა ბენ ბელამ, — ეფექტიანი ინსტრუმენტია საერთაშორისო ურთიერთობისა და იმისათვის, რომ ეს ურთიერთობა განვითარდეს პროგრესის, თავისუფლებისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ“. ბენ ბელამ დაგმო უცხო სახელმწიფოების ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში და მოითხოვა, ეერძოდ, რომ შეწყდეს ეკონომიური ბლოკადის პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ კუბის მიმართ.

შემდეგ სიტყვა აღო ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა შასტრიმ. მან შეიტანა წინადადება, რომ კონფერენციამ შიიმუშაოს მთელი რიგი ღონისძიებანი მშვიდობის განსამტკიცებლად, განიარღვევისათვის, აგრესიისა და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. იგი მიესალმა მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ ტერიტორიული საკითხებისა და სასაზღვრო კონფლიქტების გადაჭრაში სახელმწიფოებმა უარი თქვან ძალის გამოყენებაზე.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ იუსუფმა განაცხადა, რომ ავღანეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მონაწილეობა მიიღოს ყველა კონსტრუქციულ ღონისძიებაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ნიგერიის მთავრობის დელეგაციის მეთაური სახელმწიფო მინისტრი ბამალი მიესალმა მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ და დასძინა, რომ ნიგერიას საჭიროდ მიაჩნია მისი შემდგომი გაფართოება. ნიგერია, თქვა მან, მხარს უჭერს უატომო ზონების შექმნის იდეას და მოითხოვს უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას. დასასრულ ბამალიმ განაცხადა, რომ ნიგერიის მთავრობა მხარს უჭერს რეზოლუციას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბოიკოტის შესახებ.

კაირო, 8 ოქტომბერი. საკდესის სპეციკორესპონდენტი ბ. ეგოროვი იტყობინება.

გუშინდელ საღამოს სხდომაზე, რომელიც მალის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოდიბო კეიტას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გამოვიდა 7 ორატორი. რომელი თემა იყო მთავარი ამ სხდომაზე? ხიბჭმის ყველა ორატორმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა დღევანდელობის ყველაზე საარსებო, პირველი რიგის ამოცანას: მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში იმ გზით, რომ გაძლიერდეს ბრძოლა ჯერ კიდევ კოლონიალისტთა ბატონობაში მყოფი ქვეყნების საბოლოო განთავისუფლებისათვის.

არაქსი — მეგობრობის მდინარე

თეირანი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ირანელი და საბჭოთა სპეციალისტები ერთად აწარმოებენ ტოპოგრაფიულ, გეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ სამუშაოებს სასაზღვრო მდინარე არაქსზე, სადაც აშენდება ჰიდროელექტროსადგური. ამ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად ამ დღეებში ბაქოში გაემგზავრა 10 ირანელი ინჟინერი.

საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი ლათინური ამერიკის 10 ქვეყანაში მოგზაურობს. ეს მოგზაურობა თითქმის ერთ თვეს გასტანს. პრეზიდენტი 20.000-მდე კილომეტრს გაივლის და რამდენიმე ათეულ სიტყვას წარმოთქვამს.

ამ ვოიაჟმა პრესის მრავალი გამოხმაურება გამოიწვია.

„დე გოლმა (ლათინური) ამერიკა აღმოაჩინა“ — ასე ხუოდება დასავლეთ ბერლინის გაზეთი „ბერლინერ მორგენპოსტში“ გამოქვეყნებულ ნახატს.

„ფორდი“ ინგლისში

ამერიკის საავტომობილო კომპანია „ფორდი“, რომელმაც ფეხი მოიკიდა ინგლისის მიწა-წყალზე, სულ უფრო აფართოებს თავისი გავლენის სფეროს. კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კიდევ ერთი საავტომობილო ქარხანა აშენოს ჰეიღვუდში. ინგლისის პრესა წერს, რომ ინგლისში განაგებული ფორდის ქარხნები უკვე 750 ათას ავტომობილს უშვებენ წელიწადში. ეს ციფრი, როგორც „ფორდის“ მფლობელნი აცხადებენ, მილიონამდე შეიძლება გაიზარდოს.

ინგლისელ კომუნისტთა მოთხოვნა

ლონდონი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). დიდ ბრიტანეთის კომუნისტური პარტია მოითხოვს, რომ მას საშუალება მიეცეს გაშუქოს რადიოთი და ტელევიზიით თავისი წინასაარჩევნო პროგრამა.

პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გუშინ გაიმართა ლონდონში, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ფრენკ სტენლიმ განაცხადა, რომ მან მიმართა გენერალურ პროკურორს, რათა მიიღოს მისი სანქცია და სასამართლო საქმე აღძრას ბი-ბი-სის რადიომაუწყებელი კორპორაციის წინააღმდეგ, რომელიც უარს ამბობს დაუთმოს კომუნისტებს დრო გამოსვლებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მიღებული იყო განმარტება, რომ სასამართლო საქმე ბი-ბი-სის წინააღმდეგ არ შეიძლება აღძრას, თუ არ იქნა გენერალური პროკურორის სანქცია.

სტენლიმ თქვა, რომ კონსერვატორებმა, ლიბერალისტებმა და ლიბერალებმა შეთქმულება მოაწყვეს ბი-ბი-სის დირექციის აქტიური მონაწილეობით, რათა არ მისცენ საშუალება ინგლისელ კომუნისტებს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ რადიოგადაცემებში წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

ახალი სასაზღვრო ინციდენტი

ინგლისი კვლავ განაგრძობს სამხედრო პროვოკაციებს ინდონეზიის წინააღმდეგ თავისი კოლონიის — ჩრდილოეთ კალიმანტანის ტერიტორიიდან. ბოლო დროს, იუწყება ანტარის საგენტო, ინგლისის სამხედრო თვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაარღვიეს ინდონეზიის საჰაერო სივრცე. (საკდესი).

ხანძრის შედეგად...

შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანძრის შედეგად დაიღუპა 11.800 კაცი, მათ შორის 2.300 ბავშვი. ხანძრისაგან გამოწვეული ზარალი 1,7 მილიარდ დოლარს შეადგენს. სულ 1963 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში 2,4 მილიონი ხანძარი მოხდა, 1962 წელს კი 2 მილიონი. (საკდესი).

ლ. ჯონსონის გამოსვლა ტელევიზიით

ვაშინგტონი. 8 ოქტომბერი. (საკდესი). შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა, რომელიც გუშინ გამოვიდა ამერიკის ტელევიზიით, განაცხადა, რომ განაგრძობს თავის წინამორბედთა პოლიტიკას პრეზიდენტის პოსტზე, რომლებმაც, მისი სიტყვით, იცოდნენ, რომ „ზარბაზნებსა და რაკეტებს არ მოაქვთ მშვიდობა და რომ მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ უზრუნველყონ მშვიდობა“. პრეზიდენტის სიტყვით, მის წინამორბედთა პოლიტიკა ემყარებოდა იმას, რომ ისინი „მოიმენებით ცდილობდნენ აეგოთ ურთიერთგაგების ხიდები ხალხებსა და ქვეყნებს შორის, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მშვიდობიანი გზით გადაეჭრათ უთანხმოებანი“...

„დღეს კი ამ დაკვირდრებულ პოლიტიკას მკაცრად ესმიან თავს“, — განაცხადა ჯონსონმა, მხედველობაში ჰქონდა რა რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა. „განსაკუთრებით საშიში მიმართულება“ უწოდა პრეზიდენტმა იმ გზას, რომელზეც ქვეყანას აყენებენ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატები გოლდუოტერი და მილერი. ჯონსონმა მოიგონა ამერიკელ ხალხს რესპუბლიკური პლატფორმის საფუძვლები: ატომური იარაღის გამოყენება ვიეტნამში, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან გასვლა, სხვა ქვეყნებისათვის დახმარების შეწყვეტა, დაგმობა მოსკოვის ხელშეკრულებისა ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. „თუ ჩვენ გავუეთეთ ამ კურსს, — განაცხადა პრეზიდენტმა ჯონსონმა, — საყოველთაო მშვიდობას სერიოზულ საფრთხეს შევუქმნით“.

თავისი გამოსვლის დასასრულს ჯონსონმა განაცხადა, რომ „მოიმენებით გაანგარიშობს მტკიცე მშვიდობის ძიებას“.

რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის პრესის დიდ ყურადღებას იპყრობს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციის მუშაობა. **ინდოეთის გაზეთები** აქვეყნებენ პრემიერ-მინისტრ შასტრისა და კონფერენციის მთელი რიგი სხვა მონაწილეების სიტყვების შინაარსს. **ფრანგული „ლიბერასიონი“** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბენ ბელას, შასტრისა და ნასერის გამოსვლების მთავარი აზრი იყო მოწოდება, რომ „საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა გახდეს კონფერენციის განხილვის საგანი“. სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად უარყვეს კოლონიზატორთა აგენტის ჩომბეს პროვოკაციული ცდები.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“ გამოაქვეყნა უ. ლიპმანის სტატია საათურით „საარჩევნო კამპანიამ იმედი გაუცრუა ხალხს“. ავტორი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლანდელი წინასაარჩევნო კამპანიის დროს არ იხილავენ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც დასმულია ქვეყნის წინაშე და აწუხებს ამერიკელებს.

ამერიკის გაზეთები ათავსებენ მასალებს პრეზიდენტობის დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების კანდიდატთა წინასაარჩევნო მოგზაურობისა და გამოსვლების შესახებ.

საზღვარგარეთის პრესამ დიდი ინტერესი გამოიჩინა „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციისადმი ამერიკისა და ინგლისის საბჭოთა ატაშეების ჯაშუშური საქმიანობის შესახებ ციმბირში მათი მოგზაურობის დროს. ბევრი გაზეთი ბეჭდავს „იზვესტიაში“ მოთავსებულ ფოტოსურათებს.

ლონდონის „ტაიმსს“ თავისი ვაშინგტონელი კორესპონდენტის სტატიაში მოპყავს ამერიკელი ოფიციალური პირების გამონთქვამი, რომლებიც იზიარებენ 'გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ერჰარდის გამოსვლას 6 ოქტომბრის პრეს-კონფერენციაზე, რომლიდანაც ჩანდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიას შეუძლიათ შექმნან ნატოს ატომური ფლოტი ისე, რომ მასში მონაწილეობა არ მიიღონ სხვა ქვეყნებმა.

ტოკიოს გაზეთების ძირითადი თემაა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იაპონიის პოზიციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ XIX სესიაზე.

(საკდესი).

„კომუნისტი“

№2-2 გვერდი, პარასკევი, 9 ოქტომბერი, 1964 წ.

საზღვარგარეთელ ჟურნალისტთა ... l'Unità

დასავლეთი ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის კანცლერი ერჰარდი პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა აქ დღ კვლავ მოითხოვა გერმანიის 1937 წლის საზღვრები. იგი არ მალავდა, რომ ბონი და ვაშინგტონი ყოველი ღონისძიებით აჩქარებენ „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის პროექტს.

* * *

საკდესის კომენტატორი ი. ბორისოვი გვატყობინებს:

კანცლერი ერჰარდი აშკარად შეიპყრო გერმანიის ყოფილი რეიხის აღდგენის სურვილმა. უკანასკნელ ხანს ბონის მთავრობის მეთაურს ერთხელაც არ წარმოუთქვამს სიტყვა ისე, რომ არ მოეთხოვოს დასავლეთ ევროპის იმ რუკის გარდაქმნა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. კანცლერი ხელს უწყობს რევანშისტულ პროპაგანდას, თუმცა, რა თქმა უნდა, მან იცის, რომ გერმანიის ახლანდელი საზღვრები საბოლოოა და მისი შეცვლის ცდას სერიოზული საფრთხე შეიძლება მოჰყვეს.

ერჰარდმა აშკარად სასაცილო მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, როცა განაცხადა, თითქოს დასავლეთ გერმანიის კანცლერი პასუხს აგებს „მთელი ხალხისათვის“, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისთვისაც. ასეთ უზურპატორულ პრეტენზიებს არავითარი საფუძველი არა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას არასოდეს არ დაუვალებია დასავლეთ გერმანიის კანცლერისათვის მისი სახელით ელაპარაკნა.

ფრიად აღსანიშნავია ერჰარდის გამოთქვამები „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის პროექტის თაობაზე. მისი სიტყვით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები მზად არიან და „შესაძლოა მარტო თვითონ“ მოაწერონ ხელი შეთანხმებას ჯერ კიდევ წელს ასეთი ძალების შექმნის შესახებ. ამრიგად, ბონის კაბინეტის მეთაურმა დაადასტურა ის, რაც უკვე დიდი ხანია აშკარა გახდა, რომ „მრავალმხრივი“ ძალების გარშემო ლაპარაკის ნიღბით სამხედრო ეხება ამერიკა-დასავლეთ გერმანიის ორმხრივ შეთანხმებას, რომელიც მასობრივი მოსპობის იარაღს ჩაუგდებს ხელში ბუნდესვერს. როგორც დას საგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, დასავლეთ გერმანიის ელჩმა ნატოში გრეგემ თავის ამერიკელ პარტნიორებთან „სრული შეთანხმებით“ მოლაპარაკება დაამთავრა „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების“ პროექტის შესახებ. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ წრეებში, აღნიშნავს კორესპონდენტი, იმედი აქვთ, რომ ხელშეკრულებას წლის ბოლომდე მოაწერენ ხელს.

არ შეიძლება აღშფოთება არ გამოიწვიოს იმ

2-12 ოქტომბერი

უკრაინული ლიტერატურის დეკადის საქართველოში

მეშვიდე დღე

მიკოლა გაჭანი

ლენინის დროშა

ჩვენ მივდიოდით გადამწყვეტ ომში
მთელ ხალხთან ერთად, მრისხანე დროჟამს,
გამარჯვებულს ლენინის დროშით
ახლაც წინ გვიძღვის ლენინის დროშა.

დასავლეთისკენ, უკრაინისკენ
მივდიოართ მტკიცედ, ხმლებამოწვდილი
და გზას გვინათებს კაშკაშა მზისებრ
ლენინის დროშა ძლევამოსილი.

ის მიგვიძღოდა წინ შრომისა დროსაც,
ჩვენ გერმანელებს ვძლევდით უწინაც,
და უკრაინას ლენინის დროშამ
თავისუფლების მზე გაუბრწყინა.

ახლაც ის გვიძღვის, მტრის თავზე როცა
შურისძიებით ცა ილრუბლება.
სიცოცხლე მოაქვს ლენინის დროშას
და უკრაინის თავისუფლება.

ის პარტიზანთა ხელში ფრიალებს,
ყველგან ფრთებს ასხამს ჩვენს ძლიერებას,
და ბრძოლით მოაქვს ლენინის დროშას
ჩემი სამშობლოს ბედნიერება.

თარგმანი **ბრ. აბაშიძისა.**

მიკოლა გაჭანს 60 წელი შეუსრულდა

ანთებული გული

უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა შორის საქართველოში იმყოფება გამოჩენილი საბჭოთა პოეტი — **მიკოლა გაჭანი.**

როგორც ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს, გაჭანსაც რთული და ძნელი, წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი გზის გავლა მოუხდა.

ვისაც სურს ნათლად წარმოიდგინოს, თუ როგორ ვითარდებოდა მრავალეროვანი საბჭოთა პოეზია, მან უსათუოდ დაკვირვებით უნდა გადახედოს მიკოლა გაჭანის — ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტის მიერ განვლილ შემოქმედების გზასაც, და ბევრ საგულისხმოს, საინტერესოს, დამახასიათებელს ამოიკითხავს!

1923 წელს გამოქვეყნდა მიკოლა გაჭანის პირველი ლექსი. ხოლო სამი წლის შემდეგ — მისეული პირველი წიგნი „მეჩერდმეტე პატრული". ამ წიგნის ავტორის სახით უკრაინელმა მკითხველმა მაშინვე შეამჩნია საიმედო და მრავლის აღმთქმელი პოეტური ძალა.

მიკოლა გაჭანის პირველი ნაწარმოებები მეტწილად მიძღვნილია სამოქალაქო ომის გმირებისადმი, ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანებისადმი.

რაც დრო გადის, მით უფრო მტკიცდება, იწრთობა, მაღლდება მ. გაჭანის ლიტერატურული ოსტატობა, უფრო და უფრო იხვეწება მისი მძლავრი პოეტური ნიჭი. მრავალ ლირიკულ ლექსთან ერთად გაჭანი წერს პოემებს („ჰამლეტის სიკვდილი", „მეგაღე", „უკვდავება", „მამები და შვილები", „დედა").

სიცოცხლის სილამაზესა და თავისუფალ შემოქმედებითს შრომას ადიდებს მიკოლა გაჭანი სინტერესო ნაწარმოებში — „მეგაღე". ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლთა მომხიბლავი სახეებია მოცემული პოემაში — „მამები და შვილები". სამშობლოსათვის თავდადებულთა უკვდავების ჰიმნს წარმოადგენს „დედა".

არა მარტო თავისი საუცხოო ნაწარმოებებით დაამტკიცა მიკოლა გაჭანმა, რომ იგი საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტია. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა უკრაინა ცეცხლის ალში იყო გახვეული, პოეტი ფრონტის მოწინავე ხაზზე იმყოფებოდა.

1941 წელს დაიწერა გაჭანის სადა, მაგრამ ძლიერი და შთამაგონებელი ლექსი „ფიცი", რომელსაც მაშინ მთელი უკრაინელი ხალხი იმეორებდა:

„ერთი არის ჩვენი ფიცი, ჩვენი ნება
და მამულმაც ერთი აზრი შთაგვაგონა:
უკრაინა არასოდეს არ იქნება
გერმანელი ბატონების ყმა და მონა!

გამარჯვების ღრმა რწმენით ანთებული მრავალი ლექსი თუ პოემა დაწერა მიკოლა გაჭანმა ომის დღეებში. ცეცხლსა და ქარიშხალში დაიბადნენ წიგნები „ფიცი", „ომის დღეებში" და სხვ. მათი მღელვარე და ნაპეი სტრიქონები ალაფრთოვანებდნენ საბჭოთა ჯარისკაცებს საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წმიდა ბრძოლაში, „თაუნერგავდნენ მათ მხნეობასა და რწმენას; ჩვენი გმირი არმიის მეომრებმა, მამაცმა პარტიზანებმა თუ ზურგში მყოფმა საბჭოთა ადამიანებმა ისე მიიღეს უს სტრიქონები, როგორც საბრძოლო იარაღი. ამაყი ხალხის მრისხანე და გაუბზარავი ხმა რეკდა თვითეულ მათგანში!

1948 წელს პოეტმა გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „სპასკის კოშკთან", სადაც საოცარი პოეტური ძალით ადიდა რუსი და უკრაინელი ხალხების საუკუნეობრივი ძმობა და ერთად ყოფნა.

„მიცკევიჩი ოდესაში" — ასე ეწოდება გაჭანის ლექსების ერთ-ერთ ციკლს. პოეტი კვლავ და კვლავ უბრუნდება თავის საყვარელ თემას — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის თემას. რაოდენი სიმდიდრეა სახეებისა და ფერებისა! ახალგაზრდული ძალა, ცეცხლი და ტემპერამენტი იგრძნობა პოეტის ამ წიგნშიც. მინდა გავიმეორო სიტყვა **ახალგაზრდული,** რადგან მუდმივი შემოქმედებითი ახალგაზრდობა, როგორც იტყვიან, უპირველესი ბედნიერებაა შემოქმედისა.

მიკოლა გაჭანმა ძმური სიყვარულის გრძნობით გამთბარი სტრიქონები მიუძღვნა საქართველოს, მის გმირულ წარსულსა და დღეკანდელობას, მის ადამიანებსა და ბუნებას. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო მ. გაჭანის ლექსები „ხანგრეული ქუთაისში", „თმოგვის გზაზე", „ვაჟა-ფშაველას ხსოვნას". ასე თბილად და შთამაგონებლად მღერა შეუძლია მხოლოდ ომას, ვინც ახლოს გაეცნო ჩვენს ქვეყანას, ვინც კარგად შეისწავლა მოძმე ხალხის თვისებები, ზნე-ჩვეულებანი, ისტორია, ვინც თავისი ფეხით დაიარა საქართველოს მთა და ბარი, ვინც საკუთარი თვალით იხილა, იგრძნო, განიცადა სილამაზე ჩვენი ქვეყნისა — მისი მთების სიძალღე და სიდადე, მისი ველების სიმწვანე და სიუხვე, მისი მდინარეების გრგვინვა და ბობოქრობა.

მიკოლა გაჭანი ცნობილია აგრეთვე როგორც შესანიშნავი მთარგმნელი. იგი დიდ დროსა და ენერგიას ანდომებს ამ კეთილშობილურ საქმეს. მან თავის ხალხს გააცნო ალექსანდრე პუშკინის უკვდავი ქმნილებანი, რუსი საბჭოთა პოეტების ვლადიმერ მაიაკოვსკისა და ნიკოლოზ ტიხონოვის, ბელორუსიის სახალხო პოეტის იანკა კუპალას, დიდი უზბეკი კლასიკოსის ალიშერ ნავოის, ყაზახთა სახელგანთქმული აკინის ჯამბულის, ლატვიელი ხალხის მომღერლის იან რაინისის ლექსები და პოემები.

ჩვენი ხალხის გულითად მადლობას იმსახურებს უკრაინული ლექსის ეს ნიჭიერი ოსტატი, რომელმაც ქართული პოეზიის მრავალი ნიმუში გაახმიანა თავის მშვენიერ ენაზე. მიკოლა გაჭანმა დიდებულად თარგმნა ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყე „ვეფხისტყაოსანი". მისი ჭეშმარიტად გმირული შეთქმედებითი შრომის შედეგად უკვდავ კობზარის მიწაზეც ხმამაღლა ისმის ღაღადი შოთა რუსთაველისა.

საქართველოს საამაყო შვილის და უკრაინის სახელოვანი შვილობილის — დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და პოეზიას არ შეეძლო არ აეთვისებინა სულიერი სიმები ისეთი შემოქმედისა, როგორიც არის მიკოლა გაჭანი. სწორედ ამიტომ იყო, რომ მან მთელი გატაცებით იმუშავა „დავითიანის" თარგმანზე. ბარათაშვილის „მერანი" და აკაკის „ციცინათელა" უკრაინულადაც ხიბლავენ მკითხველსა და მსმენელს. და ეს ხომ მიკოლა გაჭანის დამსახურებაა!

ბევრი თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსებიც თარგმნა მ. გაჭანმა მისთვის ჩვეული ოსტატობით. მისივე რედაქტორობით გამოვიდა უკრაინულ ენაზე ქართული პოეზიის ორტომიანი ანთოლოგია.

მიკოლა გაჭანი მრავალჯერ ყოფილა საქართველოში. მას კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, უყვართ იგი, როგორც მოწინავე საბჭოთა პოეტი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ხალხთა შორის მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, როგორც კეთილშობილი და გულთბილი ადამიანი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პოეტ-აკადემიკოს მიკოლა გაჭანის როგორც უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის დიდი და მრავალმხრივი მოღვაწეობა.

მიკოლა გაჭანის ნაწარმოებები რამდენჯერმე გამოიცა ქართულად. ამ ნაწარმოებებს ღრმა ინტერესით ეწაფება ჩვენი მკითხველი.

ამ დღეებში, როცა მთელი ქართველი ხალხი ყველგან გულიდან ეგებება ძვირფას სტუმრებს — უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილეებს, მიკოლა პლატონის-ძე გაჭანს სამოცი წელი შეუსრულდა. განსაკუთრებით გვახარებს, რომ პოეტი თავის სახელოვან იუბილეს პირველად გადაიხდის ჩვენს მიწაზე — საქართველოში.

დიდად გვახარებს ისიც, რომ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით მიკოლა გაჭანი დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ნება-სურვილით მასვე მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მინდა სულითა და გულით ვუთხრა სასურველ სტუმარს:

ძვირფასო მიკოლა პლატონის-ძეო! მხურვალედ გილოცავთ დაბადების დღეს და მთავრობის კიდევ ახალ უმაღლეს ჯილდოს, გილოცავთ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სპატიო სახელს, გისურვებთ დიდი-ხნის ჯანიერ სიცოცხლეს, სულიერ სიმხნევეს, მრავალ ახალ ბრწყინვალე შემოქმედებითს გამარჯვებას.

გებზვევით და გკოცნით როგორც უფროს ძმას, დიდი უკრაინელი ხალხის ღირსეულ შვილს, ქართველი ხალხის უანგარო მეგობარსა და მოძმეს!

ხუტა ბერულავა.

მარად ჭაბუკი პატრიარქი

ქართული კულტურის დიდ მეგობარს უკრაინული ლიტერატურის დეკადის უხუცეს წევრს, უკრაინული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებელს და მარად ჭაბუკ პატრიარქს მიკოლა გაჭანს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა.

მთელ ჩვენ ქართველ ხალხთან ერთად მხურვალედ მივესალმები სახელოვან იუბილარს, პოეტ-აკადემიკოსს, დღეიდან საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ჩვენს საყვარელ პოეტსა და მეგობარს, ძვირფას მიკოლა გაჭანს და ვულოცავ მთავრობის უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს.

მიკოლა გაჭანის ტალანტი კვლავ მრავალ სიკეთეს გვპირდება უკრაინული და ქართული კულტურების საკეთილდღეოდ.

მიკოლა გაჭანი ეკუთვნის იმ თაობას, რომელიც ერის საკეთილდღეო ძნელსა და საპატიო გზებზე 18 წლისა გაჭაღარავდა, მაგრამ 60 წლისაც არ დაბერებულა.

გაუმარჯოს მარად ჭაბუკ ჩვენს იუბილარს!

ჩვენ გვიხარია, რომ თავის დღეობას ძვირფასი მიკოლა თავის ძმებს შორის, საქართველოს ცის ქვეშ დღესასწაულობს.

მრავალ წელს ჯანმრთელი სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებანი ჩვენს საყვარელ ძმას მიკოლა გაჭანს.

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი.

ძმობის ხიდის ხუროთმოძღვარი

დიდი აღტაცებით ვხვდებით ჩვენი ძმისა და მეგობრის მიკოლა გაჭანის დაჯილდოებას, მით უმეტეს, რომ ეს ჯილდო მას ერგება სრული ზედმიწევნილობით და შეფერებით, როგორც ამაგდარს.

გაჭანი მართლაც გულშედუღებულია საქართველოსთან, მის ხალხთან, მის კულტურასთან, მის ბუნებასთან. იგი მარტო „ვეფხისტყაოსნის", „დავითიანის", ილიას და ვაჟას მთარგმნელი როდია!

მიკოლა გაჭანი ღრმა მცოდნეა ჩვენი ძველი და ახალი ცხოვრების, ჩვენი კულტურისა, ძველი და ახალი ქართული ლიტერატურისა. თავისი სიყვარული ქართველი ხალხისადმი მან დიდი საქმით დაამტკიცა.

ახალ მწერლობაში გაჭანი პირველთაგანია, რომელმაც გასდო ძმობის ხიდი ქართულსა და უკრაინულ მწერლობას შორის. იგი ამ ხიდის თვალსაჩინო ხუროთმოძღვარია და კალატოზიც, მაშვრალი და ამაგდარი, რომელსაც გულზე კარგად აქვს დაჭდეული რუსთაველის სიტყვები: არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა.

ძვირფასო ძმაო და მეგობარო მიკოლა! სულით და გულით გილოცავთ დიდებულ ჯილდოს შენი დაბადების 60 წლისთავზე. ამ ჯილდოში მთელი ჩემი ხალხის გულისთქმაა გამოსახული.

იცოცხლე მრავალჟამიერ!

გიორგი ლეონიძე,
საქართველოს სახალხო პოეტი.

მომავალ შეხვედრამდე!

დღეს მოსკოვში უნდა გავფრინდე, საიდანაც საზღვარგარეთ მივემგზავრები, გამოგიტყდებით, ძალიან მწყდება გული, რომ მივდივარ. ვის არ დაეანება მეგობრებთან და ასეთ მოსიყვარულე ადამიანებთან დაშორება.

აჰა, თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ, კეთილ ადამიანებს შეგხვდით და სამუდამოდ დავუძმობილდით. შთაბეჭდილებები ისე დიდი და უთვალავია, რომ ამ ორიოდე სიტყვით არც შეეცდები მათს გამოხატვას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შთაბეჭდილებანი, ეს მოგზაურობა თქვენს მშვენიერ მხარეში მნიშვნელოვან გამოძახილს ჰპოვებს ჩემს შემოქმედებაში.

ნება მიბოძეთ მადლობა მოვახსენო გაზეთ „კომუნისტს", რომელმაც თავის ფურცლებზე ადგილი დამითმო და ჩემს ქართველ მკითხველებთან გასაუბრების საშუალება მომცა.

მომავალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

მიხაილო სტელმახი,
ლენინური პრემიის ლაურეატი.

დაუვიწყარი შეხვედრები

სვანეთის შორეული თოვლიანი მთებისა და ამწვანებული ახალი კოლხეთის პეიზაჟებმა მოხიბლეს ჩვენი სტუმრები. ენგურთან სტუმარმოყვარე ოდიშელებმა დაულოცეს გზა უკრაინელ მწერლებს სოხუმისაკენ.

სოხუმში ძვირფას სტუმრებს გულთბილად მიესალმებიან პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დ. გოგოხია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ჩიქოვანი, პარტიის სოხუმის ქალაქკომის პირველი მდივანი შ. შარტავა, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. თარბა.

დღეს საოლქო გაზეთების „აფსნი ყაფშის", „საბჭოთა აფხაზეთის", „სოვეტსკაია აბხაზიას" ფურცლებზე გამოქვეყნებულია ტარას შევჩენკოს „ანდრძის" დიმიტრი გულიასეული თარგმანი, ნაწყვეტი ოლეს გონჩარის „ტრონკადან", მ. გაჭანის, მ. რილსკის, პ. ტიჩინას, მ. სტელმახის, ვ. სოსიურას, ა. მალიშკოს, ო. ნოვიცკის, ვ. კოროტიჩის, ი. ნეხოდას, ნ. ნაგნიბედას ლექსები.

ამას წინათ აფხაზურ ენაზე გამოიცა ტარას შევჩენკოს ლექსებისა და პოემების კრებული, რომელთა თარგმანები ეკუთვნით დ. გულიას, ბ. შინკუბას, ი. თარბას, ლ. კვიციინიას, ქ. აგუშბას, ალ. ჯონუას, ტ. ჯონუას და სხვებს.

სტუმრებმა „ამრაში" მოუსმინეს უკრაინულ, ქართულ, აფხაზურ და რუსულ სიმღერებს. იქვე ჭაშნიკი გაუსინჯეს ჩხავერს, ოჯალეშს და ლიხნს, შემდეგ დაათვალიერეს სოხუმის ღირსშესანიშნაობანი, ყვავილებით შეამკეს აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას ძეგლი.

სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოეწყო შეხვედრა უკრაინული დეკადის მონაწილეებთან. შეხვედრა გახსნა ი. თარბამ.

სიტყვას ამბობს უკრაინის მწერალთა კავშირის მდივანი ვ. კოზაჩენკო:

— მეგობრების ენა გულის ენაა, ამიტომ მას თარგმნა არ სჭირდება. სადაც ვყოფილიყავით ჩვენ, ყველგან თან გვდევდა თქვენი სტუმართმოყვარე ხალხის კეთილი ღიმილი. საქართველო — ეს არის დიადი მეგობრობის ქვეყანა, როგორც მზის სხივი ნამის წვეთში, ისე არეკლილი თქვენს ბარაქიან მიწაზე ხალხთა დიადი მეგობრობის შუქი.

ი. აბაშიძე მხურვალედ მიესალმება უკრაინელ მწერლებს და მადლობას უხდის აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელ ორგანოებს და მშრომელებს დეკადის მონაწილეთა გულითადი მიღებისათვის.

მიკოლა გაჭანი კითხულობს შოთა რუსთაველის გენიალური პოემის უკვდავ სტრიქონებს უკრაინულ ენაზე.

მისასალმებელი სიტყვით გამოდის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ხ. ბღაჟუბა.

— შავი ზღვის ტალღები, — ამბობს მ. სტელმახი, — სიყვარულით ეასალბუნებიან საქართველოსა და უკრაინის ნაპირებს. ჩვენ ძალიან ახლოს ვცხოვრობთ. პოეზიის ფრთებით შეგვიძლია ყოველთვის მოვინახულოთ ერთმანეთი. დღეს მე, მართალია, გტოვებთ, მივდივარ, მაგრამ თან მიმაქვს თქვენი დიდი სიყვარული...

დეკადის მონაწილეებს გულთბილად მიესალმება აგრეთვე სოხუმის მე-14 საშუალო სკოლის დირექტორი ტ. მალიგინა. მწერალი კ. ლორთქიფანიძე კითხულობს ნაწყვეტს ტ. შევჩენკოს პოემა „ტარასის ღამიდან".

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ი. ვირგანი, გ. გუბლია (იგი მ. სტელმახის ლექსს კითხულობს აფხაზურ ენაზე), კ. კალაძე, კ. ჩაჩხალია, დ. პავლიჩკო, ჯ. ჩარკვიანი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. გორდიენკო, ვ. ანქვაბი, გ. კერესელიძე, ა. ჯონუა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა შ. ლაკობამ დამსწრეთ გააცნო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით პოეტ-აკადემიკოს მიკოლა გაჭანის აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ. შეხვედრის მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამ ცნობას.

იუბილარს მხურვალედ ულოცავენ ი. აბაშიძე, დ. გოგოხია, მ. ჩიქოვანი, ბ. ეფენტი, ს. ჭილაია... ფიზზე ამდგარი მთელი დარბაზი.

დასასრულ სიტყვას ამბობს მ. გაჭანი.

სოხუმიდან გზა დურიფშისაკენ მიდის. ამ ერთ-ერთ ულამაზეს და უმდიდრეს სოფელში დეკადის მონაწილეები შეხვდნენ კოლმეურნე-მშრომელებს, სოფლის ინტელიგენციას, მოსწავლე ახალგაზრდობას. სადამის სოფლის კულტურის სახლში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო.

დღეს დეკადის მონაწილეები სოხუმიდან ბათუმში მიემგზავრებიან გემით.

ვლ. ალფენიძე.

ილია უკრაინულად

ქართველ მწერალთა ნაწარმოებების თარგმნას უკრაინულ ენაზე დიდი ხნის ტრადიცია აქვს. გასული საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების ბევრი ქმნილება მათი ავტორების სიცოცხლეშივე გაიცნო უკრაინელმა მკითხველმა. ამ კეთილ საქმეს განსაკუთრებით ფართო ყურადღება საბჭოთა ხელის უფლების წლებში დაეთმო.



დღეს უკრაინელები მშობლიურ ენაზე კითხულობენ შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის და სხვა კლასიკოსების, აგრეთვე ქართველი საბჭოთა მწერლების თხზულებებს. მიკოლა გაჭანის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის" თარგმანი კი ერთ-ერთი საუკეთესოა ამ პოემის თარგმანთა შორის. გასულ წელს უკრაინულად გამოვიდა ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული.

ამ დღეებში უკრაინის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „დნიპრომ" გამოსცა ილია ჭავჭავაძის ორი მოთხრობა — „კაცია ადამიანი?! და „ოთარაანთ ქვრივი". მოთხრობების თარგმანი ეკუთვნის ახალგაზრდა მწერალსა და მთარგმნელს ალ. საინჩენკოს (მანვე თარგმნა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებიც).

წიგნს, რომლის რედაქტორია ვ. ნოსენკო, მხატვარი — ვ. ხომენკო, ტირაჟი — 17.000 ეგზემპლარი, დართული აქვს ანოტაცია და მწერლის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისიდან კახეთის რაიონებში გზად მიმავალნი უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილენი რამდენიმე ხანს შეჩერდნენ საქართველოს სახალხო პოეტის, გ. ლონჯინიძის მშობლიურ სოფელ პატარძეულში, სადაც ო. გონჩარმა, მ. გაჭანმა და გ. ლეონიძემ სოფლის ახალგაზრდებთან სამახსოვრო სურათი გადაიღეს.

ფოტო ბ. დადგაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

სტუმრად კინოსტუდიაში

უკვე თითქმის ერთი კვირაა საქართველოში მიმდინარეობს უკრაინული ლიტერატურის დეკადა. ამ დღეებში უკრაინული საუბარი ისმის თბილისში, კახეთის ვენახებში, გამოჩენილი უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას მეორე სამშობლოში — სურამში, ქუთაისში.

მეგობრულ შეხვედრებზე, რადიოთი და ტელევიზიით გაისმის დიდი კობზარის ტარას შევჩენკოს ლექსები, საბჭოთა უკრაინის მწერალთა ნაწარმოებები.

ქართული კინოს მოღვაწეებს სტუმრად ეწვივნენ უკრაინელი კინემატოგრაფისტები, რომლებიც დეკადის მონაწილეებთან ერთად ჩამოვიდნენ. შეხვედრა მოაწყვეს საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირმა და კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა".

შესავალი სიტყვით უკრაინელ კოლეგებს მიესალმა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე კინორეჟისორი ს. დოლიძე: მან განაცხადა, რომ სტუმრებმა თან ჩამოიტანეს ახალი ფართო ეკრანის ფილმი „სიზმარი", რომელიც ტარას შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით არის შექმნილი. დამსწრეთ წარუდგინეს ფილმის დამდგმელი რეჟისორი ვ. დენისენკო, ახალგაზრდა მსახიობები ი. მიკოლაიჩუკი და ნ. ნაუმი.

შეხვედრის მონაწილეებმა ინტერესით ნახეს უკრაინელი მეგობრების ახალი ფილმი. ეკრანზე რეალისტურად არის ასახული უკრაინელი ხალხის დიადი მომღერლის ტანჯვითა და დამცირებით აღსავსე ცხოვრება. (საქდესი).

რევოლუციის ჯარისკაცი

ს. ს. მეგრელიშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო

1957 წლის 13 აპრილია. ჩოხატაურის სახელმწიფო თეატრში ტევა არ არის. ჩოხატაურელ ძველ ბოლშევიკებს შეხვედრას უწყობენ. მომხსენებელმა განაცხადა:

— ჩვენმა რაიონმა ბევრი კარგი რევოლუციონერი მისცა პარტიას, ხალხს, მათ შორის პროფესიონალი რევოლუციონერები ბორის ძნელაძე, სილიბისტრო თოდრია, სერგო მეგრელიშვილი...

სერგო სილიბისტროს-ძე მეგრელიშვილი დაიბადა 1884 წლის 18 აგვისტოს სოფელ ფარცხმაში (ჩოხატაურის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჭაბუკს კიდევ სწყუროდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ ხელმოკლეობამ ამის საშუალება არ მისცა.

ს. მეგრელიშვილი სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც ბათუმში დაიწყო მუშაობა უბრალო მუშად. აქ იგი მთელი გატაცებით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და 1905 წელს შეუდგა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ამ დროიდან აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწევა როგორც მტკიცე ბოლშევიკი და ხდება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი.

1903 წელს ს. მეგრელიშვილი პარტიის დავალებით გაემგზავრა კოდორის ხეტყის სახერხ ქარხანაში, რათა მონაწილეობა მიეღო მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების ჩამოყალიბებაში. იმავე წელს დეკემბერში სხვა რევოლუციონერ მუშებთან ერთად მეგრელიშვილიც დააპატიმრეს. მაგრამ მან მალე დაიღწია თავი საპყრობილეს და ჩავიდა ბათუმში, სადაც ერთ-ერთი დემონსტრაციის დროს მეფის პოლიციის წარმომადგენელმა დაჭრა და ამხანაგებმა ფარულად ჩაიყვანეს მშობლიურ სოფელში.

ს. მეგრელიშვილმა უშუალო მონაწილეობა მიიღო 1905 წელს ნასაკირალთან გამართულ შეტაკებაში, რის შემდეგ გაძლიერებული რეპრესიების გამო ტოვებს გურიას და სოხუმში მიდის, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებში.

დაუცხრომელი რევოლუციონერი ს. მეგრელიშვილი არაერთგზის იყო დაპატიმრებული, მაგრამ ციხეშიც არ წყვეტდა რევოლუციურ მუშაობას. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ს. მეგრელიშვილი არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა. რამდენიმე ხანს მუშაობდა აფხაზეთში, სადაც დაპატიმრეს და გაგზავნეს ოზურგეთის ციხეში.

1908-1911 წლებში მეგრელიშვილი მშობლიურ ჩოხატაურშია, განაგრძობს პარტიულ მუშაობას, 1911 წელს პარტიის დავალებით ვლადივოსტოკში ჩადის და ერთ-ერთ ქარხანაში აყალიბებს მუშათა წრეებს: მან აქ მოაწყო გაფიცვა და შეიარაღებული გამოსვლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. მეფის ოხრანკამ რევოლუციონერი მალე დაიპატიმრა.

1914 წელს მეგრელიშვილმა თავი დაიღწია საპატიმროს და დაავადებული საპატიმროში დაბრუნდა.

ორი წლის შემდეგ მეგრელიშვილი თბილისში (ნაძალადევი) ხსნის მუშათა იაფფასიან სასადილოს, რომელიც წარმოადგენდა ბოლშევიკების შესაკრებ პუნქტს. აქ ეწყობოდა არალეგალური კრებები, ინახებოდა აკრძალული ლიტერატურა და სხვადასხვა სახის იარაღი. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჯარის ნაწილებთანაც.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ს. მეგრელიშვილი სხვა რევოლუციონერებთან ერთად აყალიბებს თბილისის ოლინგზის საგაურის მუშათა ბოლშევიკურ უჯრედებს.

1918 წელს მეგრელიშვილს ირჩევენ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის — პირველი რაიკომის წევრად. იგი ორი წლის განმავლობაში მენშევიკებმა 5-ჯერ დაუპატიმრეს, ხოლო 1920 წელს მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოდან გაასახლა საბჭოთა აზერბაიჯანში. აქ იგი პარტიის განჯის სამაზრო კომიტეტის პირველ მდივნად იწყებს მუშაობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს. მეგრელიშვილი მუშაობს ჯერ თბილისის რევკომში, ხოლო შემდეგში პარტიის დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივნად.

ს. მეგრელიშვილი რამდენიმე წლის მანძილზე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე, პარტკოლეგიის მდივანი. იგი იყო საქართველოს და ამიერკავკასიის ყველა მოწვევის ცაკის წევრი. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი.

ს. მეგრელიშვილი ლიტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა. მისი სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები იბეჭდებოდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. მასვე ეკუთვნის იუმორისტული მოთხრობა ცალკე წიგნად „სჯავახური ხუმრობა ნახევარი მართალია"; მან სამ ნაწილად გამოსცა სატირული ნაწარმოები „რეჟიმ-ეკონომია"; აგრეთვე ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ურმიდან თვითმფრინავამდე".

ს. მეგრელიშვილი ს. თოდრიასთან ერთად მონაწილეობდა საბჭოთა პრესის სისხლსავსე ცხოვრებაში. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, აგრეთვე ჟურნალ „რემედასის" რედაქტორი, თავმჯდომარეობდა რემედასის რესპუბლიკურ ორგანიზაციას.

ს. მეგრელიშვილი იყო სპეტაკი და პირდაპირი ბოლშევიკი. როგორც საქართველოს კომპარტიის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე, იგი ზშირად ეწყრებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიებს, სადაც ილაშქრებდა პატიოსანი ბოლშევიკების დევნა-შევიწროების წინააღმდეგ. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ იგი პიროვნების კულტის პერიოდში 1937 წელს ბერიამ და მისმა დამქაშებმა თავიდან მოიშორეს, სიცოცხლე მოუსპეს.

მებრძოლი ამხანაგის, გულთბილი მეგობრისა და სპეტაკი ბოლშევიკის ს. მეგრელიშვილის სახელი მუდამ იცოცხლებს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში.

ნ. ჩხეიძე.

მატერიალური დაინტერესების ქვაკუთხედი

ეს ნაშრომი ძირითადად აშუქებს დამზადების პოლიტიკას 1953 წლიდან და მის გავლენას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაზე. მასში ფართოდ არის განხილული შემდეგი საკითხები: ცვლილებანი დამზადების პოლიტიკაში 1953 წლიდან და მათი მნიშვნელობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ერთიანი სისტემა და დამზადების პოლიტიკის როლი საკოლმეურნეო წარმოების კომუნისტური გზით წარმართვის საქმეში.

ავტორი ეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, სკკპ XX, XXI, XXII ყრილობებზე შემუშავებულ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ვრცელ პროგრამას, რომელშაც საფუძვლად დაედო მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპი. ამ პრინციპის სწორად განხორციელების შედეგად დიდად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და დამზადება. ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა შემოსავალი და ამაღლდა მათი მატერიალური კეთ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘᲡ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲙᲣᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲚᲔᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲜᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲜᲘ თავისუფლების გმირული კუნძულის — კუბის ცეცხლოვანი ქორეოგრაფიული ხელოვნების განთქმული ოსტატები. დღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გასტროლებს იწყებს კუბის ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲘ, რომელსაც აქ მხოლოდ სამი სპექტაკლი ექნება.

ბალეტი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ხელოვნებაა კუბაზე. პირველი ქორეოგრაფიული სკოლა აქ 1931 წელს გაიხსნა. პირველ მოსწავლეთა შორის ამ სკოლაში იყვნენ ამჟამად გამოჩენილი მსახიობები ალისია ალონსო, ძმები ალონსოები — ფერნანდო და ალბერტი.

1948 წელს ჩამოყალიბდა „ალისია ალონსოს ბალეტის“ დასი, რომელიც შემდეგ „კუბის ეროვნული ბალეტის“ საფუძველი გახდა. მათ გარდა ამ ბალეტში გამოდიან სახელოვანი მსახიობები რუდოლფო როდრიგეზი, მირტა პლა, ხოზე პარესი, მენიე მარტინესი და სხვები.

კუბის ამ ახალგაზრდა კოლექტივმა განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურა არა მარტო კლასიკური ნაწარმოების დადგმით, არამედ ეროვნული ბალეტის შექმნის მისწრაფებითაც. რესპუბლიკის ეროვნული ქორეოგრაფიის სამჭედლოდ იქცა „ალისია ალონსოს სკოლა“, რომელიც 1950 წელს შეიქმნა ჰავანაში.

უდიდესი წარმატებით გამოდიოდა ეს ქორეოგრაფიული დასი როგორც თავის სამშობლოში, ისე ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ახალგაზრდა შემოქმედებით კოლექტივს განსაკუთრებული მოწონებით ხვდებოდა პრესა, მაგრამ ბატისტას ბატონობის წლებში მისი შემდგომი განვითარება შეუძლებელი იყო.

ეს მესანიშნავი კოლექტივი მეორეჯერ დაიბადა 1959 წელს, კუბის რევოლუციის გამარჯვების შედეგად. მას ახლა ჩინებული პირობები აქვს შექმნილი. უაღრესად ნაყოფიერად მუშაობს და მთელი ათი თვის მანძილზე კლასიკური და თანამედროვე ბალეტის საუკეთესო ნიმუშებს უჩვენებს ჰავანის თეატრ „ამადორ როლდანში“, დანარჩენ დროს კი კუბის ქალაქებში და საზღვარგარეთ მოგზაურობს.

„კუბის ეროვნული ბალეტი“ მეორეჯერ არის საბჭოთა კავშირში. ამჟამად მისი რეპერტუარი შევსებულია ახალი დადგმებით. თბილისელი მაყურებელი ინტერესით ნახავს ნაწყვეტებს სხვადასხვა ბალეტიდან, მათ შორის ჰუნის „პა-დე-კატრს“, „პა-დე-დუს“ ჩაიკოვსკის ბალეტ „გედის ტბიდან“, ფარიანიანსტის „გამოღვიძებას“, ფრანკის „კუბურ სიუიტას“, „მოჩვენებას“ და სხვა ნომრებს.

მაღალი მსატვრული გემოვნებით, ოსტატობით არის შექმნილი „კუბის ეროვნული ბალეტის“ ყოველი დადგმა. კუბელი მსახიობები დღეს, 9 ოქტომბერს თავიანთი შემოქმედებით წარსდგებიან მომთხოვნი თბილისელი მაყურებლის წინაშე.

კუბის სახელმოხვეჭილი შემოქმედებითი კოლექტივის კონცერტებში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვახტანგ ფალიაშვილის დირიჟორობით. სადირიჟორო პულტთან ვნახავთ აგრეთვე კუბის მუსიკოსებს — 25 წლის ედუარდო ალფონსო კუშნირს და რობერტო სანჩეს ფერერს.

კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა მზიერ თბილისში, კუბის ქორეოგრაფიის ოსტატებო!

• • •

ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲬᲑᲣᲠᲒᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲝ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲣᲑᲔᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲠᲝᲑᲔᲜ. ᲐᲮ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ „ᲙᲣᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ“ ᲛᲮᲐᲪᲕᲠᲣᲚ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲮ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲚᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

6-7 ოქტომბერს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტების მუშაკთა თათბირი. თათბირმა განიხილა რადიოსა და ტელევიზიის მუშაობის გამოცდილება, საკავშირო და რესპუბლიკური მაუწყებლობის პროგრამების კოორდინაცია, რესპუბლიკური კომიტეტების მონაწილეობა რადიოსადგურ „შუქურისათვის“ მასალების მომზადებაში, აპარატურის გადაცემათა ძიება.

განსაკუთრებული ყურადღება დუთმეს თათბირის მონაწილეებმა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომიტეტებს შორის რადიო და ტელეპროგრამების გაცვლის საკითხს.

თათბირზე გამოვიდნენ საკავშირო რადიოს მთავარი რედაქტორი ა. ლოსევი, აზერბაიჯანისა და სომხეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები ე. ალიბეილი და ა. აივაზიანი, საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. შამათავა და სხვები.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲤᲝᲙᲠᲐᲜᲘᲐᲜᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ბათუმელმა მენავთობეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — მენავთობეთა დაბაში სპეციალიზებულ ფართოეკრანიანი კინოპავილიონი.

პირველ დღეს მენავთობეებმა ნახეს ფართოეკრანიანი კინოფილმი „ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ“.

ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲤᲔᲚᲔᲤᲘᲚᲛᲡ

ᲕᲐᲚᲔ ტელემაყურებლები ცისფერ ეკრანზე ნახავენ ახალ ტელეფილმს „გრიბოედოვის საჩუქარს“, რომლის სცენარის ავტორი და რეჟისორია მ. გიორგაძე.

ფილმი ასახავს ალ. გრიბოედოვის ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს. გრიბოედოვის როლს ასრულებს პოეტი მიხეილ ქვლივიძე, ნინო ჭავჭავაძეს ეკრანზე განასახიერებს დოდო მანშიაშვილი.

ფილმს იღებს ოპერატორი რ. კეზელი.

ნატურგადაღებები იწარმოებს წინანდლის, იყალთოსა და ალაზნის ველის მიდამოებში, აგრეთვე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲢᲔᲚᲔᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ.

ტექსტი და ფოტო
გ. შათირიშვილისა.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲗᲝᲙᲘᲝᲨᲘ

ᲒᲝᲚᲤᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲪ ᲡᲣᲠᲗ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲑᲔᲜ

ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲓᲐᲡᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲠᲗᲔᲑᲘᲡ, ᲭᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲪᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ თუ არა ოლიმპიური სახეობის სპორტად ძიუ დო, გოლფის მოყვარულთ კი უკვე სურთ ოლიმპიელები გახდნენ. ამ თამაშის საერთაშორისო ფედერაცია, თუ უარს მიიღებს ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, ეცდება პანამერიკულ ასპარეზობათა პროგრამაში მაინც შეიტანონ გოლფი.

ᲐᲚᲐᲛᲡ Ი. ᲙᲠᲔᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲘᲛᲔᲠᲔ

ᲠᲝᲪᲐ ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიის დროს სპორტულ დელეგაციათა საზეიმო პარადი გაიმართება, გერმანიის გაერთიანებული გუნდის ალამს კოლონის თავში დაიჭერს სახელმოხვეჭილი ოლიმპიური ჩემპიონი წყალში ხტომაში ინგრიდ კრემერი (ენგელი), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენი. ამ გაერთიანებული გუნდის ალამი შავ-წითელ-ყვითელი იქნება და ზედ იქნება გამოსახული ოლიმპიური რგოლები.

ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 7 ოქტომბერი. (საკდეს). საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი არ შეცვლილა — 77 წლის ამერიკელი ეგერი ბრენდეჯი, რომელსაც უკვე 12 წელია ეს პოსტი უკავია, კვლავ პრეზიდენტად რჩება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს სპეციალურ წერილებში და აი, როგორც ცნობილი გახდა, უმრავლესობამ ბრენდეჯს მისცა ხმა. მისი ერთადერთი კონკურენტი იყო ინგლისელი ლორდი ექსეტერი. იგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მეორე ვიცე-პრეზიდენტად დარჩა, პირველ ვიცე-პრეზიდენტად კი კვლავ ფრანგი არმან მასარი აირჩიეს.

ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ტოკიოში ჩამოვიდა ბერძენი მსახიობი ალეკა კაცელისი და უწინარეს ყოვლისა მითხოვა გააცნონ იაპონელი ჭაბუკი იოსინორი საკაი. რა აკავშირებს ამ ორ ადამიანს?

1936 წლიდან ოლიმპიური ცეცხლი ოლიმპიადაზე მიაქვთ ძველი ოლიმპოს მახლობლად მდებარე კორომიდან. ყოველი ოლიმპიადის წინ სწორედ კაცელისი ანთებს ხოლმე ჩირაღდანს მზის სხივებით — ლინზის მეშვეობით. როცა მან პირველად გააკეთა ეს, 12 წლის გოგონა იყო.

საკაი კი 10 ოქტომბერს ოლიმპიადის გახსნის დღესასწაულზე კაცელისის ხელით ანთებული ჩირაღდნით ცეცხლს აანთებს ფიალაში, რომელიც ეროვნული სტადიონის ტრიბუნებს ზემოთ დგას.

ᲢᲝᲙᲘᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ...

ᲢᲝᲙᲘᲝᲡ მოსახლეობა ამჟამად დაახლოებით 10,5 მილიონ კაცს შეადგენს, ტერიტორია, რომელზეც ტოკიოს მუნიციპალიტეტის ძალაუფლება ვრცელდება, უდრის 2.023 კვადრატულ კილომეტრს. ქალაქი შედგება 23 რაიონისაგან, ქალაქს ეკუთვნის... 7 კუნძული, რომლებიც წყნარ ოკეანეში მდებარეობენ. ქალაქის ხელისუფალთა სათავეში დგას გუბერნატორი. მას საყოველთაო კენჭისყრით ირჩევენ ოთხ წელიწადში ერთხელ. ასევე ირჩევენ საქალაქო კრების 120 დეპუტატსაც.

ტოკიოს საქალაქო ხელისუფალთ ჰყავთ თითქმის 200 ათასი მოსამსახურე, 32 ათასი პოლიციელი, 10 ათასი მეხანძრე და 52 ათასი სკოლის მასწავლებელი.

ქალაქის ერთ-ერთი საგულისხმო თავისებურებაა მისი საავტომობილო პარკის სწრაფი ზრდა.. ახლა აქ 989.704 ავტომანქანაა.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ საბჭოთა ოლიმპიელების პრესკონფერენციაზე ასობით ჟურნალისტი, მწერალი, სტუმარი მოვიდა. მოვიდნენ, რათა გაცნობოდნენ საბჭოთა სპორტის ვარსკვლავებს. ჩვენმა ოლიმპიელებმა მრავალ კითხვაზე გასცეს პასუხი.

ამავე დღეს, ამხანაგურ მატჩში, ჩვენმა წყალბურთელებმა ანგარიშით 7:2 დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი.

მოიწყო აგრეთვე წილისყრა კალათბურთში. საბჭოთა გუნდი ითამაშებს „ა“ ჯგუფში, სადაც მასთან ერთად ფინალში გასახვლელად იბრძოლებენ იტალიის, პოლონეთის, იაპონიის, პუერტო-რიკოს, მექსიკის, კანადისა და უნგრეთის კალათბურთელები.

ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ტოკიოში ჩამოვიდა ბერძენი მსახიობი ალეკა კაცელისი და უწინარეს ყოველისა მითხოვა გააცნონ იაპონელი ჭაბუკი იოსინორი საკაი. რა აკავშირებს ამ ორ ადამიანს?

1936 წლიდან ოლიმპიური ცეცხლი ოლიმპიადაზე მიაქვთ ძველი ოლიმპოს მახლობლად მდებარე კორომიდან. ყოველი ოლიმპიადის წინ სწორედ კაცელისი ანთებს ხოლმე ჩირაღდანს მზის სხივებით — ლინზის მეშვეობით. როცა

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲤᲝᲠᲣᲛᲖᲔ ᲞᲠᲐᲚᲐᲨᲘ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის აგვისტოში პრაღის ხელოვნების სასახლეში მიმდინარეობდა ევროპის კარდიოლოგთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაში სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲣᲛᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ** ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲧᲘᲤᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲘ.

ᲐᲛ ᲤᲠᲐᲒᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲣᲛᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.

— **ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ** კარდიოლოგთა მეოთხე კონგრესისა ფაქტიურად დიდი საერთაშორისო ღონისძიების ხასიათი მიიღო. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, ინდოეთის, ლათინური ამერიკისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი ფორუმის მონაწილეთა შორის იყვნენ ჩვენი დროის გამოჩენილი კარდიოლოგები: ამერიკის შეერთებული შტატებიდან პოლ უაიტი, კარდიოლოგთა მსოფლიო ასოციაციის სპატიო პრეზიდენტი (იგი „კომუნისტის“ მკითხველებს ალბათ კარგად ახსოვთ, მან ორჯერ იმოგზაურა საქართველოში); სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვ. პარინი, სსრ კავშირის კარდიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პ. ლუკომსკი, პროფესორები: ი. ჩერნოგოროვი, ა. კედროვი, საფრანგეთიდან ჟორჟ რენეგლი, ინგლისიდან დევიდ ვედფორდი, იტალიიდან ლუიჯი კონდორელი, ჩეხოსლოვაკიიდან პ. ლუკლი და სხვ.

ევროპიდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნოდარ ყიფშიძე.

საქართველოდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი კონსტანტინე ცინცაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ კაპანაძე.

კონგრესმა მოისმინა და განიხილა კარდიოლოგიის სხვადასხვა პრობლემასადმი მიძღვნილი 1,200-ზე მეტი მოხსენება. რა თქმა უნდა, ყველა მათგანზე ვერ შეჩერდებით. მოგახსენებთ მხოლოდ იმ მთავარ სიახლეებზე, რაც ითქვა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების წარმოშობის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის დარგში.

წარმოდგენილ მოხსენებებში და ცალკეული პრობლემებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმებზე განხილული იყო თანამედროვე კარდიოლოგიის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის გულის უკმარისობის, ათეროსკლეროზის, სტენოკარდიისა და მიოკარდიის ინფარქტის ადრეული დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ამ მიმართულებით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ინტენსიური კვლევა-ძიება წარმოებს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ამ საკითხების შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ზემოაღნიშნული ახალი მონაცემების საფუძველზე უკვე შემუშავებულია და პრაქტიკულად ინერგება ახალი პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებები.

კონგრესის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს აკადემიკოს ვ. პარინის მოხსენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის შესახებ კოსმოსის პირობებში. ეს იყო ერთადერთი მოხსენება ამ საკითხზე და, ბუნებრივია, მან დიდი ინტერესი აღძრა მეცნიერთა შორის. აკადემიკოსმა ვ. პარინმა წარმოგვიდგინა ამ ახალი დარგის — კოსმოსური კარდიოლოგიის, თანამედროვე მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების გზები.

კონგრესზე ფართოდ იყო წარმოდგენილი გულის ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გულის სხვადასხვა მანკის დროს დაზიანებული სარქველოვანი აპარატის ხელოვნური პროტეზით შეცვლის ტექნიკის დამუშავება. ხელოვნური სარქველების შექმნამ შესაძლებელი გახადა გულის ისეთ დაავადებათა ქირურგიული მკურნალობა, რაც სულ ცოტა ხნის წინათ, თითქმის შეუძლებელი იყო.

ორგანიზებულ გამოფენაზე ევროპის სამრეწველო ფირმებმა წარმოადგინეს სხვადასხვა კონსტრუქციის თანამედროვე სადიაგნოსტიკო ელექტროაპარატურა და ახალი სამკურნალო პრეპარატები.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვით კონგრესზე წაკითხულ ქართველ მეცნიერთა მოხსენებების შესახებ.

პროფესორმა კონსტანტინე ცინცაძემ მონაწილეობა მიიღო სიმპოზიუმში, რომელიც ათეროსკლეროზის პათოგენეზის პრობლემას განიხილავდა. ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების ურთიერთ გაზიარებამ და ახალი მასალების ერსწავლამ უდავოდ კარგი შედეგი გამოიღო.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ კაპანაძე დიდი ხანია მუშაობს გულის მწვავე გადაღლვის დროს ჰისტოქიმიურ ცვლილებათა შესწავლის საკითხებზე. კონგრესის ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე მან ამ საკითხზე მეტად საინტერესო მოხსენება წაიკითხა. წლების განმავლობაში ჩემს კოლეგებთან ერთად გაწეული კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე კონგრესს წარვუდგინე სპეციალური მოხსენება გულის მარჯვენა პარკუჭის ფუნქციონალური ცვლილებების შესახებ მისი ქრონიკული და მწვავე გადატვირთვის დროს.

დასკვნითს პლენარულ სხდომაზე კონგრესმა ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩია ლუიჯი კონდორელი. ასოციაციის პრეზიდიუმში შევიდა საბჭოთა მეცნიერი სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ბ. ლუკომსკი.

ფრიად ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად, კონგრესის ორგანიზატორებმა, ჩვენმა ჩეხმა მეგობრებმა საშუალება მოგვცეს გავცნობოდით ამ შესანიშნავი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას.

ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲘᲛᲦᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲤᲝᲜᲔᲑᲘᲡ

ᲛᲤᲚᲝᲒᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲠᲐᲓᲘᲝ

10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲮᲔᲚᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ | თბილისი, ლენინის 14. ᲙᲝᲛᲔᲢᲐᲢᲝᲠᲘ: 3-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9 93 03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9 72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9 87-81, პროპაგანდის — 3-22-89 მრეწველობის — 3-20-43, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35 01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — დამ. 5-22, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — დამ. 5-76, განცხადებების — 9-94 42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66113 УЮ 08350

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ ᲪᲙ-ᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ **ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ** ჩემპიონატი ფეხბურთში 1970 წელს გაიმართება მექსიკაში. ასე გადაწყვიტა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თავის კონგრესზე ტოკიოში.

△ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ საერთაშორისო ამხანაგური მატჩში ერომანეთს შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ლვოვის „კარპატის“ ფეხბურთელები. ანგარიშით 1 : 0 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

△ **ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** მორიგი მატჩები „ბ“ კლასის რსფსრ-ის IV ზონაში. აი ამ შეხვედრათა შედეგები: კოლხიდა“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — 0 : 1, „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (სტავროპოლი) — 1 : 0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ლორი“ (ალოგიკანი) — 2 : 0, „დინამო“ (ბათუმი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — 1 : 0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ლერნაგორეი“ (კაფანი) — 1 : 1.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Დ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1)

1964 წლის 21 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, საქტო დარბაზში ბედგაგიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲑᲘᲠᲙᲐᲠᲒ ᲒᲐᲗᲚᲛᲐᲜᲘᲫᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲝᲜᲘᲫᲔᲡ** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„ფიზიკური აღზრდის ზოგადი საფუძვლები“.**

23 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲡᲣᲚᲐᲫᲔ** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„საქართველოს კომუნისტური პარტია სოციალისტური ინტელიგენციის შექმნისათვის ბრძოლაში 1921-1937 წწ“.**

4 ნოემბერს, დღის 12 საათზე, № 93 აუდიტორიაში ბედგაგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲪᲘᲐᲚᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲑᲘᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„გერმანული ლექსიკის სწავლება და ლექსიკურ სავარჯიშოთა სახეები ქართული საშუალო სკოლის V კლასში“.**

4 ნოემბერს, დღის 12 საათზე, № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲘᲝᲡᲔᲑ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲒᲘᲜ-ᲫᲔ ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„სერგეი მესხი“.**

18 ნოემბერს, დღის 12 საათზე, № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ᲜᲘᲙᲐᲜᲓᲠᲝ ᲔᲠᲐᲡᲢᲘᲜ-ᲫᲔ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„ქართული მართლწერის საკითხები“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲡᲣᲒᲣᲤᲘ ᲢᲐᲥᲡᲝᲛᲝᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ

მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით ორგანიზებულია ტაქსომოტორების გამოძახება ბინაზე ღამის საათებში 23 საათიდან 6 საათამდე. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ:** 7-13-11, 2-64-86, 7-12-40, 7-03-88.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

**ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐ